ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

jhif,fsb7 !* bdybcb7 @)!@ 1143 (5833) afcb5 #) stshb

14 ივნისიდან!
დიდი საზაფხულო აქცია
ქართული მწერლობის საუნჯე

ფასი: 5 ლარი
„ახალ თაობასთან" ერთად

# ბიძინა ივანიშვილმა გურიაში მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა

გვ.3



## „ქართული ოცნების" წევრს პოლიციელის მოსყიდვას აბრალებენ

გვ.2

ჩოხატაური - თემურ ჭკუასელი
ოზურგეთში — ზვიად კვაჭანტირაძე
ლანჩხუთი — თემურ ჩხაიძე



## პატრიარქი ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის შეჩერებას ითხოვს

გვ.5



## ილია II: მანდატურები ბავშვებს ენის მიტანას ასწავლიან

გვ.2



## სანდრო ბრეგაძე: „გიორგი თარგამაძემ ზვიად გამსახურდიას ხსენებას თავი დაანებოს!"

გვ.4



## ოზურგეთში მიმავალ ზურაბ ზვიადაურის ავტომანქანას ქვის ლოდი დაეცა

გვ.6

## პრეზიდენტი ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარების ტემპებით უკმაყოფილოა



გვ.5

## მეტეო ინგრევა!

გვ.2



ხელისუფლება აღდგენითი სამუშაოების დაწყებას არ ჩქარობს

## გოგი ხუციშვილი: „ნაციონალებში დაპირისპირებაა"

რა წესს არ დაარღვევენ მმართველი გუნდის წევრები



გვ.5



## მიხეილ სააკაშვილი ყოველ საღამოს ბათუმის რესტორნებში დადის

გვ.11



## „ნაციონალების იდეოლოგია მხოლოდ კმარას" მოღერებული მუშტი იყო

გვ.6

6 ივნისიდან
ეფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ნტნხტპბ
* კფპბ




4 ქეთი დუმბაძე: ნუღაფრის შეგეშინდებათ, შეშინებული ადამიანები ქვეყანას ვერ ააშენებენ

5 გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ არჩევნებამდე ქუჩის საპროტესტო აქციების აუცილებლობა დადგება

2 ბედნიერი ქვეყნების რეიტინგში საქართველო 55-ე ადგილზეა

4 მედია „ადვოკატირებისთვის" მიიჩნევს, რომ მოსახლეობისთვის მედიის ხელმისაწვდომობა იზღუდება

ISSN 1987-9385

# ქართული ოცნების“ წევრს პოლიციელის მოსყიდვას აბრალებენ

## ირაკლი სესიაშვილი გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდს უწოდებს

თეა მარხვაიძე


ირაკლი სესიაშვილი


შოთა უტიაშვილი

მშობლიურმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ კარგა ხანს დაგვასვენა ფარული ჩანაწერებისაგან. გუშინ კი ფარული ჩანაწერების სეზონი გახსნა. შსს მარტო ჩანაწერების გამოქვეყნებით, როგორც წესი, არ კმაყოფილდება. მათ ფარული ჩანაწერის მთავარი გმირი დააკავეს. პოლიციის მტკიცებით, დაკავებული ქართული ოცნების წევრია და ის პატრულის მოსყიდვას ცდილობდა.

ამასთან დაკავშირებით შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. უტიაშვილმა აღიარებების ჩანაწერები გაავრცელა.

მისი განცხადებით, შსს-მ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია პოლიციის თანამშრომლის მოსყიდვის ფაქტზე, კერძოდ, კასპის რაიონის იგოეთის განყოფილების ოპერატიულ თანამშრომელს, ლაშა კურტანიძეს პოლიციელების ფარული ჩაწერა დაევალა.

უტიაშვილის თქმით, კურტანიძის მიმართ მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, შეხვედრების სიმულირება განხორციელდა, რომლის შედეგად ჩანაწერების მოპოვებისა და გადაცემის ფაქტი დადასტურდა. უტიაშვილის ინფორმაციითვე, გამოძიების პროცესში კურტანიძეს წარედგინა მტკიცებულებები, რის შედეგადაც კურტანიძემ დანაშაული აღიარა და გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

– კურტანიძე ჩაერთო ოპერატიულ ღონისძიებებში, მოახდინა ზაზა ჭელიძის ჩაწერა, თუმცა, შემდეგ ჯერზე მან ჭელიძე გააფრთხილა და მიიმალა. უტიაშვილის ცნობით, ზაზა ჭელიძე დაკავებულია, ლაშა კურტანიძე კი ძებნაშია, – იუწყება შსს.

რაც შეეხება შსს-ს მიერ გავრცელებულ მასალებს, აღიარებით ჩვენებაში ლაშა კურტანიძე ყვება, რომ მან მისი მეგობრის, ჯონი ქურციკიძის სახლში, დაახლოებით აპრილში, გაიცნო მისი სიძე ზაზა ჭელიძე, რომელმაც მას უთხრა, რომ მთავრობა უკვე შეცვლილია და დაინტერესდა, თუ რისი გაკეთება შეეძლო კურტანიძეს „გვერდში დგომისთვის“. ამის შემდეგ, კურტანიძის ინფორმაციით, ის და ჭელიძე შეხვდნენ ონიაშვილის ქუჩაზე, რა დროსაც ჭელიძისგან მიიღო ჩამწერი აპარატურა, თავისი აღჭურვილობით და მიიღო თხოვნა პოლიციელების განწყობების და განსაკუთრებით თათბირების ჩაწერისა.

კურტანიძე ასევე ყვება, რომ შემდეგ შეხვედრაზე ჩანაწერი გადასცა ჭელიძეს და შემდეგ კი მას უთხრა, რომ „ზევით“ კმაყოფილები იყვნენ, განსაკუთრებით კი ბიძინა ივანიშვილი და ჭელიძისგან კონვერტი მიიღო.

კურტანიძემ ეს კონვერტი სახლში გახსნა და როგორც ამბობს, მასში 3 ათასი დილარი იყო. ზაზა ჭელიძე კი ჩვენებაში ამბობს, რომ მან ლაშა კურტანიძე ცოლის ძმასთან გაიცნო და სთხოვა, რომ გაეკეთებინა ფარული ჩანაწერები პოლიციაში არსებულ მდგომარეობაზე. მისი თქმით, კურტანიძის მიერ მიტანილი ჩანაწერები შემდეგ მის მეგობარ ირაკლი სესიაშვილს მისცა, რომელმაც ასლის გადაღება მოითხოვა, შემდეგ კი კონვერტი მისცა, რომელიც მოგვიანებით ჭელიძემ კურტანიძეს მისცა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი სესიაშვილი შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, მისი ჩარევით პოლიციელის მოსყიდვის თაობაზე, აბსურდს და სისულელეს უწოდებს. ის ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს. რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

– ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და გაუგებარია ის, რასაც ზაზა ჭელიძე საუბრობდა ვიდეოჩანაწერში, რომელიც დღეს გავიდა რუსთავი-2-ის ეთერში, „კურიერის“ სამსაათიან გამოშვებაში. მე დიდი ხანია ვიცნობ ზაზა ჭელიძეს, ვმეგობრობთ და დღეს ერთადაც ვაპირებდით ქალაქგარეთ ნაკვეთში მუშაობას. როგორც გავარკვიე, დღეს, დილით მასთან სახლში მივიდნენ კუდ-ის და სოდ-ის თანამშრომლები და ფეხმძიმე მეუღლესთან და მის ძმებთან ერთად სადღაც წაიყვანეს. მე ვვარაუდობ, რომ აღნიშნული ვიდეოჩანაწერი გაკეთებულია მასზე და მის მეუღლეზე ზეწოლის შედეგად.

მე და ზაზას არაერთხელ გვისაუბრია უამრავ საკითხზე, მათ შორის პოლიტიკურ თემებზეც და საზოგადოებაში არსებულ განწყობებზე. მეც მითქვამს მისთვის და მასაც უთქვამს ჩემთვის, რომ უამრავი საჯარო მოხელე კერძო საუბრებში ოპოზიციურ განწყობებს აფიქსირებს. ზაზა, როგორც იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო ბიუროს ყოფილი მუშაკი, იცნობდა სამართალდამცავი ორგანოების ბევრ თანამშრომელს და იმასაც მეუბნებოდა ხოლმე, რომ ბევრი პოლიციელს თავად ამოუვიდა ყელში ხელისუფლების მოქმედებები და ისინიც ელიან ცვლილებებს. რაც შეეხება რაიმე თანხის სანაცვლოდ რაიმე უკანონო ქმედების განხორციელებას, ეს არის სრული აბსურდი და შეთითხნილი ბრალდება. მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს, შეწყვიტონ ზაზა ჭელიძის და მისი ოჯახის წევრებზე ზეწოლა ყალბი ჩვენებების მიღების მიზნით. აშკარაა, რომ მათი მიზანია ჩემი და კოალიცია „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო პიარკამპანია. ამიტომ მე თავად ვარ მზად, დაინტერესების შემთხვევაში, ვუპასუხო საზოგადოების და სამართალდამცავი ორგანოების ყველა კითხვას, – ნათქვამია სესიაშვილის განცხადებაში.

---

## ილია II: მანდატურები ბავშვებს ენის მიტანას ასწავლიან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აზრით, სკოლებში მანდატურების ინსტიტუტის საკითხი შესასწავლია. როგორც უწმინდესმა საკვირაო ქადაგებაში ბრძანა, ბავშვების აღზრდაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მშობლებს, ეკლესიასა და სკოლას ეკისრება და მათ ახალი თაობის სიყვარულით აღზრდაზე უნდა იზრუნონ.

„ჩვენ კი ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. ზედამხედველებად ე.წ მანდატურები დავუნიშნეთ. ისინი კი არ ზრდიან ბავშვებს, აქცევენ მათ ენის მიმტანებად თავიანთ მასწავლებლებსა და მეგობრებზე. ამიტომ ეს საკითხი შესასწავლია. შიშით ვერ გავზრდით შვილებს, მხოლოდ სიყვარულით და კეთილი სიტყვით უნდა აღვზარდოთ ისინი. მადლობა ღმერთს, რომ ვცხოვრობთ დროში, როდესაც გვაქვს ორი სასულიერო აკადემია და ათობით სასულიერო სასწავლებელი. მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის“, – ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ წინა პატრიარქების დროს ამგვარი რამ წარმოუდგენელი იყო.

ინტერპრესნიუსი

## ბედნიერი ქვეყნების რეიტინგში საქართველო 55-ე ადგილზეა

საქართველომ პლანეტის ბედნიერი ქვეყნების ინდექსში, სადაც 151 ქვეყანა მოხვდა, 55-ე ადგილი დაიკავა.

რეიტინგის მიხედვით პირველ ადგილზეა კოსტა-რიკა, ხოლო ბოლო ადგილი ბოცვანას ხვდა წილად.

პირველ ათეულში მოხვდნენ – ვიეტნამი, რომელიც მეორე ადგილზეა, მას მოყვება კოლუმბია, ბელიზი, ელ-სალვადორი, იამაიკა, პანამა, ნიკარაგუა, ვენესუელა და გვატემალა.

პლანეტის ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი ფონდმა შეადგინა, რომელშიც ბედნიერების მთავარი განმსაზღრელი კრიტერიუმებია თავად მოქალაქეების კმაყოფილება ცხოვრების დონით, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ეკოლოგიური მდგომარეობა.

საქართველოს წინ უსწრებენ სომხეთი, რომელიც 53 პოზიციაზეა და უზბეკეთი – 54-ე ადგილით. აზერბაიჯანი რეიტინგში მე-80 ადგილზეა, ხოლო რუსეთი – 122-ეზე.

ნიუსპრესი

---

# მუცო ინგრევა!

## ხელისუფლება აღდგენითი სამუშაოების დაწყებას არ ჩქარობს

პირიქითა ხევსურეთში მდებარე შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ციხე – სოფელი მუცო ათ წელზე მეტია ინგრევა. ნგრევის პროცესი ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გასული წლის ბოლოს არქიტექტორ – რესტავრატორმა ვაჟა ჭინჭარაულმა მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ ძეგლის 60% დანგრეული იყო და რესტავრაციას დაახლოებით 40% ექვემდებარებოდა.

ზამთარში, დიდთოვლობის შედეგად მდგომარეობა უფრო დამძიმდა. კოშკების ნაწილი კიდევ ჩამოინგრა. დიდი რაოდენობით ჩამოშლილი ფიქალი ამ დრომდე შემორჩენილ კოშკებს აწვება და იმასაც ანგრევს.

მუცოს რეაბილიტაციის გეგმა 2004 წლიდან არსებობს. სამშენებლო – არქიტექტურულმა კომპანია „არსმა“ კვლევითი სამუშაოები სწორედ 2004 წელს ჩაატარა. მოგვიანებით, 2008 წელს გაკეთდა მუცოს სრული რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც არ განხორციელდა. პროექტის ავტორი არქიტექტორ-რესტავრატორი სოსო ბანძელაძე იხსენებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებმა სამუშაოების დაწყება გადაიფიქრეს.

ბანძელაძე მიიჩნევს, რომ მუცოს რეაბილიტაცია გრძელვადიანი პროცესია და სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. „ძალიან რთული სამუშაოებია ჩასატარებელი. ის, რაც ინგრევა, დღესვე უნდა გადავარჩინოთ და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაკეთდეს ეს. რამდენიმე კოშკი სასწრაფოდ საჭიროებს შველას. შეთეკაურთა კოშკია განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში. ერთადერთი იმედი ის არის, რომ დანგრეულის აღდგენას შევძლებთ, რადგან ციხე-კოშკის აზომვითი სამუშაოები გაკეთებული გვაქვს. თუმცა, ეს ის მუცო აღარ იქნება. თუ ძეგლს თავიდან აშენებ, ის ავთენტურობას კარგავს. ამიტომ, მუცოს დროული შველა სჭირდება, რომ რაღაც მაინც შევინარჩუნოთ პირვანდელი სახით,“ – აღნიშნა სოსო ბანძელაძემ.

მუცო ციცაბო კლდეზეა ნაგები და სამი მხრიდან მიუვალია. „მუცოს რეაბილიტაცია რეალობად რომ იქცეს, პირველ რიგში მიკროჰესი უნდა აშენდეს. მიკროჰესი საბაგირო გზის ამუშავებისთვის არის საჭირო. შემდეგ საბაგირო გზა უნდა მოეწყოს. საბაგიროს გარეშე იქ სამშენებლო მასალის ატანა შეუძლებელია. სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ უნდა დაიწყოს,“ – აცხადებს რესტავრატორი.



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკა ვაჩეიშვილმა, რამდენიმე თვის წინ, მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში განაცხადა, რომ მუცოს რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, შესაძლოა, 2012 წელს დაიწყოს.

„ეს არის რამდენიმე მილიონიანი პროექტი, დაახლოებით 15-17 მილიონი ლარის. ეს დაკავშირებულია ხევსურეთის როგორც ტურისტული, როგორც ავთენტური და როგორც ისტორიული მხარის აღორძინებასთან. თუმცა ეს თანხა არის მინიმალური და საჭიროა უფრო გლობალური, დიდი ინვესტიცია, რომ ცალკეულმა პროექტებმა ამ რეგიონში იმუშაოს. ორი – სამი წელი არის მინიმალური ვადა იმ პერსპექტივისა, რასაც აქაურობის აღორძინება ჰქვია. სავარაუდოდ, წელს დაიწყება რეაბილიტაციის პროექტი, თუმცა დინამიკას 2013-14 წლებში მიაღწევს“, – განაცხადა ვაჩეიშვილმა.

მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი ძეგლთა დაცვის სააგენტოს ისევ დაუკავშირდა.

„რაც შეეხება მუცოს, მისი მდგომარეობა რა თქმა უნდა არის რთული, მაგრამ არა საგანგაშო, რადგან უკვე არსებობს მუცოს გადარჩენის პროექტი. სპეცილისტები ამ საკითხზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობენ და მათი განცხადებით, პროექტის მასშტაბურობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე მუცოს დოკუმენტური დამუშავება ერთ-ერთ ხანგრძლივ და რთულ პროცესს მოითხოვდა. არსებული დოკუმენტი საფუძვლად დაედება მუცოს კომპლექსზე ფიზიკური სამუშაობის დაწყებას. საგულისხმოა, რომ ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გადარჩენა ქვეყნის პრიორიტეტია და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველო ერთადერთია, სადაც ეს პრიორიტეტი ყველაზე უკეთ იკვეთება. საგულისხმოა, რომ ძეგლების აღდგენას და პროექტების წარმოებას აქვს საკუთარი სპეციფიკა, რიგითობა, პრიორიტეტულობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესწავლილი, გაანალიზებული და შეფასებულია მუცოს კომპლექსის მდგომარეობა. საპროექტო დოკუმენტი მოიცავს ძეგლის საინჟინრო-გეოლოგიურ, ეკოლოგიურ და სხვადასხვა სახის სახელოვნებათმცოდნეო კვლევებს და დასკვნებს. დღესდღეობით სამუშაო პროცესშია დართლო (თუშეთში) – და მისი კომპლექსური რეაბილიტაცია“, – ეს კომენტარი სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნათია მურაჩაშვილმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დატოვა.

მიმდინარე წლის მარტში, მუცოს რეაბილიტაციის მოთხოვნით, საქართველოში „გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფმა პეტიციაც შეიმუშავა. „ჩვენი მოთხოვნაა დაუყოვნებლივ (ერთი თვის ვადაში) გამოიძებნოს თანხები მუცოს გამაგრებითი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული უმნიშვნელოვანესი პროცესი დაიწყოს წელსვე და დასრულებულ იქნას შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, მოვითხოვთ, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა, შეასრულოთ თქვენი კონსტიტუციური მოვალეობა და არ დაუშვათ კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუშის, მუცოს განადგურება, რადგან ეს იქნება დანაშაული როგორ ჩვენი, ასევე სრულიად ცივილიზებული სამყაროს წინაშე“, – აღნიშნულია პეტიციაში, რომელსაც ხელი ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა.

დაიწყება თუ არა წელს მუცოს რეაბილიტაცია, უცნობია.

მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა ივანიშვილმა გურიაში მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა

თეა მარხვაიძე

**გუშინ გურიაში დიდი მღელვარება და ფაციფუცი იყო. ასეთ საყოველთაო მღელვარებას ამ მხარეში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჰქონდა ადგილი. ეს ის დრო გახლავთ, როცა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „გურია“ უმაღლეს ლიგაში გადავიდა.**

პოლიტიკური თვალსაზრისით გურია გუშინაც გადავიდა უმაღლეს, ოღონდ პოლიტიკურ ლიგაში. გურულები პოლიტიკისგან შორს არასდროს მდგარან. მაგრამ ბოლო 20 წლის განმავლობაში აქ აქცია არ გამართულა. ჰოდა, რა გასაკვირია, ამ აქციისთვის მთელი გურია რომ მოემზადა.

„ქართულმა ოცნებამ“ 10 ივნისს დააანონსა, რომ 17 ივნისს გურიაში გაიმართებოდა აქცია. მეოცნებეებს განცხადება ხეირიანად არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ხელისუფლება ლამის მთელი შემადგენლობით გურიისკენ დაიძრა. მათ ვალში არც მეოცნებეები დარჩნენ და ისინიც გამაგრდნენ ოზურგეთში. გუშინ კი მთელი „ქართული ოცნება“ გურიაში იყო მობილიზებული. მობილიზებული იყო ადგილობრივი ხელისუფლებაც.

მეოცნებეებმა აქციისთვის მზადება გარიჟრაჟზე დაიწყეს. როგორც ჩვენი კოლეგები „გურია ნიუსიდან“ გვატყობინებენ, მეოცნებეებმა სცენის დამონტაჟება დილის 6 საათიდან დაიწყეს. სცენის დამონტაჟებაში რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ აქციის ჩასატარებლად თეატრალური მოედანი გამოყო. ოზურგეთის წუწუნავას სახელობის თეატრის წინ გუშინ სერიოზული პოლიტიკური სპექტაკლი გაიმართა.

თავიდანვე დააანონსეს, რომ აქცია საღამოს 7 საათზე დაიწყებოდა, ერთი საათით ადრე კი სხვადასხვა რაიონიდან წამოვიდოდნენ კოლონები. ოზურგეთის გარდა, ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა ჩოხატაურსა და ლანჩხუთშიც გამოაცხადა,

რაც იმით გამოიხატა, რომ სამივე რაიონის გამგეობის თანამშრომლები სამსახურში გამოცხადდნენ. „გურია ნიუსის“ ცნობით, ჩოხატაურის გამგეობაში გამგეობის სრული შემადგენლობა გამოცხადდა.

აქციამდე რამდენიმე საათით ადრე ჩოხატაურის გამგეობაში სპეციალური თათბირი გაიმართა, სადაც სოფლის რწმუნებულებს კიდევ ერთხელ მისცეს გაფრთხილება, რომ მათი სოფლებიდან აქციაზე რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი წავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობის დატოვება მოუწევთ.

ამ თემაზე სოფლის რწმუნებულები ოფიციალურ კომენტარებს არ აკეთებენ, პირად საუბრებში კი აღნიშნავენ, რომ მსგავსი დავალება მათ რამდენიმე დღის წინ მისცეს. კომენტარს არც ჩოხატაურის ხელისუფლება აკეთებდა.

აქციისთვის მზადების პარალელურად, პატარ-პატარა აქციებსაც ჰქონდა ადგილი. დღის პირველ ნახევარში სოციალური ქსელებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან ოზურგეთისკენ მიმავალი ცენტრალური ტრასა გადაიკეტა და სამართალდამცავები „ქართული ოცნების“ დაგეგმილ აქციაზე წამსვლელებს პრობლემებს უქმნიან.

ოპოზიციურად განწყობილი ფიცხი გურულები ამ ცნობამ გააბრაზა. მოგვიანებით ისინი მეოცნებეებმა დაამშვიდეს და ამცნეს, რომ ხელისუფლებას გზა არ ჰქონდა გადაკეტილი. ლანჩხუთში მცირე ხნით სიმშვიდემ დაისადგურა.

გურულ ჩინოსნებს გუშინ განსაკუთრებული ჯაფა დაადგათ. ამ მხრივ ყველაზე შავ დღეში მაინც ოზურგეთელი მოხელეები აღმოჩნდნენ. მათდა ბედად, ივანიშვილმა აქციის ჩასატარებლად სწორედ ოზურგეთი შეარჩია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ილია ვაშაყმაძის მანქანა, „გურია ნიუსის“ ცნობით, დილიდანვე გამგეობის შენობის წინ იდგა. ადგილზე იმყოფებოდნენ სხვა ჩინოსნებიც, რომლებიც წინა დღეებში შეძლებისდაგვარად გაისარჯნენ. ისინი ხალხში აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ, სთხოვდნენ და ურჩევდნენ, მეოცნებეთა აქციაზე არ წასულიყვნენ.



როგორც „გურია ნიუსს“ ოზურგეთის ყოფილ (ძველ) აგრარულ ბაზარში უთხრეს, 16 ივნისს აქ სამი ადამიანი დადიოდა და ხალხს ეუბნებოდა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები თუ ბაზარში შემოვიდოდნენ, გაეძევებინათ. კითხვაზე, თუ იცნეს, ვინ იყვნენ ეს პირები, ხომ არ შეიცნეს მათში ჩინოვნიკები, წყარომ განაცხადა, რომ არ უცვნიათ, ვინ იყვნენ, თუმცა, ნამდვილად გაიგონეს, რომ ისინი არაერთ მოვაჭრეს ეუბნებოდნენ, გაზეთი „ქართული ოცნება“ რომ მოაქვს, იმ გოგოს გამოეკიდეთ და გაზეთები გადაუყარეთო, აქ შეიძლება კახი კალაძე და მურთაზა ხურცილავა შემოვიდნენ და იმათაც გამოეკიდეთო.

მისივე თქმით, ეს მოწოდება არავის შეუსრულებია, ზოგი სიტყვიერად კი დაეთანხმა, მაგათ აქ არ შემოვუშვებთო, მაგრამ მხოლოდ — თავიდან მოსაცილებლად.

გარიჟრაჟზევე ატყდა პოლიტიკური ფაციფუცი ლანჩხუთში. „გურია ნიუსის“ ცნობით, ლანჩხუთის ცენტრალურ მოედანზე გუშინ დილით გამოსულ მოქალაქეებს ასეთი სურათი დახვდათ: თავმოყრილია მძიმეწონიანი საბარგო მანქანები და ტრაქტორები, ხოლო შორიახლოს ლანჩხუთელ მაღალჩინოსანთა პირადი მანქანებია ჩამწკრივებული.

„გურია ნიუსს“ მიაწოდეს ცნობა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და პოლიცია ოზურგეთში წამსვლელი კოლონისთვის ხელის შეშლას აპირებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლება ამ უქმეებზე სერიოზულად გაისარჯა. იმის მაგივრად, რომ დაესვენათ, ლამის კარდაკარ დადიოდნენ. როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, ხელისუფლება, პოლიციასთან ერთად, ყველანაირად ცდილობდა, აქციაზე რაც შეიძლება ნაკლები ხალხი წასულიყო. სწორედ ამ მიზნით სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები, რომელთა შორის იმერეთის კუდ-ის თანამშრომლებიც იყვნენ, „ნაციონალების“ ახალგაზრდა აქტივისტებთან ერთად, სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ხალხს „რჩევებს“ აძლევდნენ, რომ აქციაზე არ წასულიყვნენ. მსგავსი მოწოდების გაკეთებას ხელისუფლება სოფლის რწმუნებულებსაც აიძულებდა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, გუშინ ხელისუფლებამ ე.წ. შტაბი შექმნა, რომელიც რწმუნებულებს ურეკავდა და აძლევდა მითითებებს, თუ რა გზით უნდა დაშალონ სოფლის ცენტრებში შეკრებილი მოსახლეობა, რომელიც აქციაზე წასასვლელად ემზადებოდა.

— ერთ-ერთი სოფლის რწმუნებულს, რომლის ვინაობასაც ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ, შუადღისას, ჩოხატაურის ხელისუფლების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დაურეკა და შეახსენა, რომ თუ მისი სოფლიდან აქციაზე ბევრი ადამიანი წავიდოდა, თანამდებობას დაატოვებინებდნენ. აღნიშნული სოფლის რწმუნებულის თქმით, მას ამის არც შესაძლებლობა აქვს და არც სურვილი და აღნიშნავს, რომ ადამიანების იძულებას ვერ შეძლებს. „თუ ასე ადვილი ჰგონიათ ამათ ხალხის იძულება, რომ აქციაზე არ წავიდნენ, მოვიდნენ და თავად გააკონტროლონ სიტუაცია. ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი კორნელი კუკულავა ხომ იმყოფება ჩოხატაურში, ის მოვიდეს და იმ ადამიანებს დაელაპარაკოს, რომლებსაც რამდენიმე წლის წინ, არჩევამდე დაპირებებით ავსებდა და რომლებიც დღეს ლუკმაპურის საშოვნელად ყველაფერს აკეთებენ“, — უთქვამს ერთ-ერთი სოფლის რწმუნებულს, რომელსაც პროტესტის ნიშნად სოფლის ცენტრი დაუტოვებია, — იუწყება „გურია ნიუსი“.



„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, ასე ფიქრობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის რწმუნებულიც, რომელთაგანაც ორი, დაზუსტებული ინფორმაციით, აქციაზე წასვლასაც აპირებდა.

დაძაბულობის პარალელურად, გურიაში უცნაურ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. ჩოხატაურში რატომღაც გუშინ მოუნდათ გზის დაგების სამუშაოების ჩატარება. ასეთი სამუშაოები კვირადღეს სხვა დროსაც ჩატარებულა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მუშები ახალდაგებულ გზას უბრუნდებოდნენ, ასფალტს ტეხდნენ და თავიდან აგებდნენ. ვიღაცას შეიძლება ეფიქრა, აი, მუშები თლა გამოაბდლდნენო. მაგრამ გურულებს გამოაპარებს ვინმე რამეს? ყველა მიხვდა, რომ ასფალტის მტვრევა-მსხვრევა აქციას უკავშირდებოდა.

ასფალტის დასაგებად სათანადო ტექნიკა იყო მობილიზებული, რომელიც, ადგილობრივი ოპოზიციის აზრით, მათთვის ხელის შესაშლელად გამოიყვანეს ქუჩაში. ჩოხატაურიდან კოლონა ოზურგეთისკენ იმ ადგილიდან უნდა დაძრულიყო, სადაც ასფალტის გადათხრა-დაგების პროცესი მიმდინარეობდა.

ასე იყო თუ ისე, საღამოც მოვიდა და გურულები ოზურგეთის თეატრალური მოედნისკენ დაიძრნენ. აქციამდე ერთი საათით ადრე მოედანი თითქმის სავსე იყო. აქციის მომლოდინე მოსახლეობას ორგანიზატორებმა მუსიკა ჩაურთეს და პატრიოტული ჟანრის სიმღერებს ასმენინებდნენ.

დათქმულ დროს კი აქციაც დაიწყო. აქციის კულმინაცია, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა იყო. ქუთაისისა და თბილისის მსგავსად, ხალხი იქაც ბიძინა- ბიძინას შეძახილებით შეხვდა.

გურულების სიმრავლით გახარებულმა ივანიშვილმა მათ საქებრად სიტყვები არ დაინანა, პოლიტიკური გამჭრიახობაც მოუწონა და ინანა, რომ ოდესღაც მათ არ დაუჯერა.

— თქვენ ჩემზე ადრე შეიცანით სააკაშვილი. 2004 წელს მთელი საქართველო და მათ შორის მეც ეიფორიაში ვიყავით. სააკაშვილმა აქ აიღო ყველაზე დაბალი ხმები. თქვენ იცოდით, ვინც იყო სააკაშვილი. დაგვეჯერებინა თქვენთვის და საქართველო ასეთ დღეში აღარ ჩავარდებოდა, — განაცხადა მეოცნებეთა ლიდერმა.

ივანიშვილმა თქვა, რომ გურია განსაკუთრებით უყვარს. გაიხსენა ბავშვობაც. 12 წლის ასაკში თურმე ოზურგეთის უნივერმაღის მშენებლობაზე მუშაობდა, 18 წლისას კი ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის მშენებლობაში მიუღია მონაწილეობა.

გურიაში არსებული ვითარებითა და ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებების გამო ბიძინა ივანიშვილმა შეშფოთება გამოთქვა.

— ხელისუფლებას ჰგონია, რომ ანგარების გამო მიჭერთ მხარს. ყველა მათნაირი ჰგონია. ამით შეურაცხყოფას გაყენებთ როგორც თქვენ, ასევე — ჩვენ. ამ ხელისუფლებამ გურია მიატოვა. წლების განმავლობაში აქ არაფერი გაკეთებულა. რაც გაკეთდა, ისიც გაოხრდა, — განაცხადა ივანიშვილმა.

მერე მან გურულებზე ძველი ანეკდოტი მოყვა: საღამოა. გურული დაწვა ეგება, შიმშილმა გადამიაროსო. უცებ კარზე აკაკუნებენ — ყაჩაღები ვართ, გააღე კარი, თორემ შემოვამტვრევთ. თქვენ აგაშენათ ღმერთმა, სტუმრები მეგონეთო, — მიაძახა გურულმა.

— აი, ასეთი ვითარებაა დღეს გურიაში. ეს ხომ უნდა მოახერხო და ასეთი მადლიანი მხარე შიმშილის პირას მიიყვანო. უნდა მოახერხო, რომ ქვეყანა სიდუხჭირეში აცხოვრო. როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, რომ ცდილობ, ის სხვა ქვეყნად გადააქციო. მათთვის საქართველო სამშობლო კი არა, ძალაუფლების ასპარეზია. ყველაფერს კადრულობენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად. როგორც კი გაიგეს, აქციას აქ ვმართავდით, სააკაშვილი ჩამოვიდა და დაპირებების კორიანტელი დააყენა. მაგრამ თქვენ არ დაიჯერებდით. გახსოვთ, კალანდობა რომ დადგა? — აღნიშნა ივანიშვილმა.

გამოსვლისას მან ფირალებზეც ისაუბრა და რამდენჯერმე გაუსვა ხაზი გურულების სიყვარულს პოლიტიკის მიმართ.

— გურულები იქ არიან, სადაც პოლიტიკაა. მათ იციან, რომ შეიძლება სამშობლო დავკარგოთ. ეს რომ დავინახე, გადავწყვიტე, უგუნურობას წინ აღვდგომოდი. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, ბევრს ვფიქრობ ხოლმე. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგვიპირისპიროს, პროცესებს ვერ შეაჩერებს. ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულდება. ქვეყანაში უკეთესობა იქნება. ვიცით, რა არის ამისთვის საჭირო. ცხოვრებას ჩემთვის ლანგრით არაფერი მოურთმევია, — ამბობს „ქართული ოცნების“ ლიდერი.

ივანიშვილმა გაიხსენა, როგორ ეხმარებოდა ხელისუფლებას.

— მალე მივხვდი, რომ ჩემი დახმარება საკმარისი არ იყო. ვერ იქნები ბედნიერი, როცა სამშობლოს ასე უჭირს. ამიტომ მოვედი პოლიტიკაში. ამათი პრინციპია „დაყავი და იბატონე“. ჩემი პრინციპია „ძალა ერთობაშია“. ძალა მართლაც ერთობაშია და გარშემო ნიჭიერი ხალხი შემოვიკრიბე, — ამბობს სიამაყით ივანიშვილი.

მან ბევრი ისაუბრა საერთაშორისო მხარდაჭერაზე და თქვა, რომ დასავლეთს სააკაშვილის აღარ სჯერა. მისი მტკიცებით, უკვე ამერიკაშიც კი იციან, ვინ არის რეალურად სააკაშვილი და ამაყობს, რომ სააკაშვილს ბოლომდე ჩამოსძვრა ნიღაბი.

— ამ ხელისუფლებაში ბევრი მომხვეჭელია. ბევრი იშოვეს. ამიტომ გაუჭირდებათ ხელისუფლების დათმობა, მაგრამ მოუწევთ. დასავლეთი მხარს საქართველოს უჭერს. არჩევნებით გავისტუმრებთ ამ თავგასულ ხელისუფლებას, — დებს პირობას ივანიშვილი.

სიტყვით გამოსვლისას მან ბევრი პირობა დადო და მომხრეები დააშოშმინა, უთხრა, რომ სააკაშვილი მას მილიონიანი ჯარიმებით ვერ შეაშინებს, რომ სურს, მოსახლეობამ კარგად იცხოვროს.

— გაჭირვებული ხალხი იოლად სამართავია. ჩვენ არ გვინდა, დაბეჩავებული ხალხის ხელისუფლება ვიყოთ. ჩვენ ღირსეული და ამაყი ხალხის ხელისუფლება გვინდა ვიყოთ, — განაცხადა ივანიშვილმა და პირობა დადო, რომ შემოდგომამდე მთელ საქართველოს ერთ მუშტად შეკრავს და ხელისუფლებას არჩევნების გზით გაისტუმრებს.

გამოსვლის ბოლოს მან გურიის რეგიონის მაჟორიტარები დაასახელა.

ჩოხატაურში თემურ ჭკუასელი იყრის კენჭს, ოზურგეთში — ზვიად კვაჭანტირაძე,

ლანჩხუთში კი — თემურ ჩხაიძე.

გავრცელებული ინფორმაციით, გუშინდელ აქციას 30 ათასი ადამიანი ესწრებოდა.

## ბაღათურიას ორგანიზებით ბათუმში საპროტესტო მსვლელობა გაიმართა

„ქართული დასის“ ლიდერის, ჯონდი ბაღათურიას ორგანიზებით, ბათუმში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ, საპროტესტო მსვლელობა გაიმართა ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრამდე.

როგორც „ქართული დასის“ ლიდერი აცხადებს, ბათუმში თურქული ძალები გააქტიურდნენ, აჭარის მოსახლეობას კი შეურაცხყოფას აყენებენ.

„ძალიან დიდი პრობლემა შეიქმნა აჭარაში. თურქული ძალები გააქტიურდნენ, რომლებიც ავრცელებენ ბროშურებს და ბუკლეტებს. ეწევიან პროპაგანდას, რომ აჭარა არის თურქეთის ტერიტორია და ქართველებმა წაართვეს თურქებს. ასევე, იგივე ჯგუფის მიერ არის ორგანიზებული საერთაშორისო ტრეფიკინგი. შუა აზიიდან ჩამოჰყავთ გოგონები, რომლებსაც პროსტიტუციისთვის იყენებენ. შედეგად ამას მოჰყვა, რომ გონიოსა და ბათუმის ზოგიერთი უბანი გადაიქცა სამეძაო სახლების კვარტლებად“, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

დეპუტატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის ორკვირიანი ვადა მისცა.

„ორი კვირის ვადას ვაძლევთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც ორი დღის ვადაში შეუძლია, ალაგმოს ეს სიბინძურე“, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ინტერპრესნიუსი

# სანდრო ბრეგაძე: გიორგი თარგამაძემ ზვიად გამსახურდიას ხსენებას თავი დაანებოს!“

ნონა ცაბაძე

**პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნულების“ ლიდერებმა ორიოდე დღის წინ საკმაოდ სკანდალური განცხადება გააკეთეს. მათი თქმით, ქუთაისის აქციაზე ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია იგეგმებოდა, თუმცა ეს ვერ მოახერხეს და მის ლიკვიდაციას ახლა სამეგრელოში შეეცდებიანო. „ახალი თაობა“ „ეროვნულების“ ერთ-ერთ ლიდერს, სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა.**

***— ბატონო სანდრო, საიდან გაგაჩნიათ მსგავსი ინფორმაცია?***

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეროვნულების ერთ-ერთი ლიდერი, შალვა ხაჭაპურიძე გახლავთ პროფესიონალი ადვოკატი და მას თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირად უხდება ციხეებში ყოფნა და პატიმრებთან შეხვედრა. თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში აქვს მას პატიმრებთან ურთიერთობა. მას ორმა პატიმარმა მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე.წ. კანონიერი ქურდები, აქტიურად არიან ჩართულები ოპოზიციის საწინააღმდეგო ქმედებებში.

***— ამაში რა იგულისხმება?***

— ანუ ის ადამიანები, რომლებიც სხედან ახლა საპყრობილეებში და რომლებიც არიან ე.წ. დატორმუზებული კანონიერი ქურდები, ანუ თანამშრომლობენ ადმინისტრაციასთან და სამართალდამცავ ორგანოებთან, ერთ-ერთი მათგანი ჩაყვანილი ჰყავდათ ქუთაისში, აქციის წინ, რამდენიმე დღით ადრე კონსპირაციულ ბინაზე. ასეთი უბანი არსებობს ქუთაისში — ბალაყვანი და იქ მოხდა შეკრება ე.წ. ქუჩის ავტორიტეტების, ქუჩის, უბნების მაყურებლების, შავი სამყაროს წარმომადგენლების, რომლებსაც მიეცათ პირდაპირ დავალება, რომ იქნებ როგორმე ჩაეშალათ ქუთაისში ქართული ოცნების აქცია. ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის, რომ მომხდარიყო არეულობა, რაც ვერ მოახერხეს. ამის შემდეგ სამეგრელოში, მეგრელმა ავტორიტეტებმა პირდაპირი ბრძანება გასცეს, რომ სამეგრელოში არავითარ შემთხვევაში ექსცესების გარეშე არ უნდა ჩაიაროს ივანიშვილის შეხვედრამ მოსახლეობასთან, იქ უნდა მოხდეს ფიზიკური შეხლა-შემოხლა და თუ კონკრეტული პირის ლიკვიდაციაც კი. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კრიმინალური ავტორიტეტები აქტიურად თანამშრომლობენ არსებულ რეჟიმთან. სხვათა შორის წინა არჩევნებზეც ასე იყო.

***— თქვენ გაქვთ ინფორმაცია ამის შესახებ?***

— რასაკვირველია. ძალიან ბევრი ნარკომანი გამოუშვეს ციხიდან არჩევნების წინ, ასევე ე.წ. ქუჩის ბიჭები, ადგილობრივი არჩევნების დროს, აბსოლუტურად სუყველა მუშაობდა ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ. ეს არის ის, რაც ჩემი თვალით ვნახე. ეს ვითომდა ქუჩის ავტორიტეტები და სინამდვილეში ნაცმოძრაობასთან და სამართალდამცავ ორგანოებთან შეკრული „ნასედკები“, რომლებიც აგენტურულ ქსელს წარმოადგენენ, ყველანაირი მეთოდით ცდილობდნენ, რომ გაემარჯვა მმართველ ძალას ადგილობრივ არჩევნებში. მე ჩემი თვალით ვნახე და პირადად მქონდა შეხება ანალოგიურ ფაქტებთან. ჩვენ სახელებით და გვარებით ვიცით ის ვითომდა ავტორიტეტები, მაგრამ იმ პატიმრების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ვინც ბატონ შალვას ეს ინფორმაცია მიაწოდა, ალბათ მხოლოდ პირველ პირთან იქნება შესაძლებელი ამ ყველაფრის თქმა და შემდგომში გარკვეული პრევენციული ზომების მიღება. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ეს განცხადება უკვე პრევენციული ზომაა და აქვე დავამატებ, რომ მათი მცდელობა ჩაშლილი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველასთვის ნათელია, ვისი მხრიდან იქნება ეს პროვოცირებული.

***— თქვენი აზრით, წამსვლელია ამაზე ხელისუფლება?***

— მე პირდაპირ გეუბნებით, წამსვლელი კი არა, ე.წ. ქუჩის ბიჭები, რომლებთან ერთადაც ვიზრდებოდი, რადგან ისინი ჩემი უბნელები იყვნენ, წინა არჩევნებზე მუშაობდნენ ნაციონალური მოძრაობის მხარეზე. მე პირდაპირ მინდა გითხრათ, ეს ადამიანები არიან არა კაი ბიჭები, არა ქუჩის ბიჭები, არამედ ესენი არიან „ნასედკები“, ნაძირლები, აგენტურული ქსელის წარმომადგენლები და არაკაცები, რომლებიც გარეთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ნაცმოძრაობის „ნასედკები“ არიან და ახორციელებენ იმ შავ საქმეს, რომელ შავ საქმესაც ავალებდნენ მთელი ამდენი ხნის განმავლობაში. ეს არის საკმაოდ რთული მოვლენა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში.

***— თქვენ კანონიერი ქურდები ახსენეთ და სააკაშვილი ხომ ღიად ებრძვის ამ ინსტიტუტს?***

— მე არ ვიცი, ვინ რას და როგორ ებრძვის, მაგრამ ის, რაზეც ჩვენ დღეს ვსაუბრობთ და რა ინფორმაციაც ბატონ შალვას მიაწოდეს, 100%-ით დადასტურებულია. არანაირ ვარაუდზე ლაპარაკი აქ არ არის. არიან კანონიერი ქურდები და ასევე არიან დატორმუზებული კანონიერი ქურდები, რომლებიც ფაქტობრივად სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან. აქედან გამომდინარე, თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა, ვინ ვის, როგორ და რანაირად ებრძვის. გეტყვით იმასაც, რომ ეს ე.წ. კანონიერი ქურდები დიდი ზარზეიმით გააცილეს საქართველოს ტერიტორიიდან, გადაიყვანეს თურქეთის ტერიტორიაზე და გაუშვეს სამშვიდობოს. ასეთი ფაქტი არა ერთი და ორი ვიცი.

***— ჩვენ სამეგრელოს აქციაზე საუბრით დავიწყეთ და ალბათ, გაუჭირდება ოპოზიციას იქ აქციის ჩატარება, რადგან ზუგდიდში სიტუაციას ახალაიები აკონტროლებენ...***

— ზუგდიდს არავინ არ განაგებს. ზუგდიდს განაგებს ის დიდი სახელი და დიადი სახელი, რასაც ზვიად გამსახურდიას სახელი ჰქვია. აი, ეს არის აბსოლუტური რეალობა. დღესაც ის იდეოლოგია, ის მრწამსი, რომელიც ზვიად გამსახურდიამ დაუტოვა თავის შთამომავლობას, ყველაზე მეტად იმ დიდ კუთხეშია, რომელსაც სამეგრელო ჰქვია. სამეგრელო გახლავთ რეგიონი, რომელმაც ყველაზე დიდხანს და ყველაზე თავგადადებით შეინახა ქართველი ერის სინდისი და ნამუსი. კუთხე, რომელიც თავისი მკერდით გადაეფარა კანონიერ ხელისუფლებას და მის მიერ არჩეულ საქართველოს პრეზიდენტს. სამეგრელოში ბევრად უფრო მეტად ფასობს ერთგულება, ბევრად უფრო მეტად



ფასობს ვაჟკაცობა, ბევრად მეტად ფასობს ქართველობა და პატრიოტიზმი, ვიდრე სამწუხაროდ სხვა რეგიონებში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც საქმით დაადასტურებს და არა დეკლარირებულად, რომ ის არის იმ გზის ერთგული, რომელ გზასაც ზვიად გამსახურდიას გზა ჰქვია, რომელ გზასაც აყვავების, აშენების და ეროვნული ცნობიერების აღდგენის გზა ჰქვია, მოიპოვებს ძალიან დიდ წარმატებას. მე გარწმუნებთ, რომ სამეგრელო არავის საბოგინო არ არის. იმ პირობებში, როცა ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, აქამდე თავმოყრილი იყო პოლიტიკური ძალები, რომლებიც აპირებდნენ ხოლმე ზვიად გამსახურდიას იდეოლოგიის გამოყენებას, თავისი მერკანტილური მიზნებისთვის, ხოლო შემდგომში აგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას, რასაკვირველია, ასეთ ძალებს სამეგრელოს მოსახლეობის მხარდაჭერა არ ექნება. დიახ, სამეგრელოს მოსახლეობის 90-95% გახლავთ ზვიად გამსახურდიას იდეოლოგიის მომხრე. დიახ, ეს ანიჭებს სამეგრელოს მოსახლეობას იმ განსაკუთრებულობას და იმ ქართველობას, რომელიც მას აქვს და რომელიც მას გამოარჩევს, საბედნიეროდ. სამეგრელოს მოსახლეობა დაუჯერებს იმას, ვინც ივლის ზვიადის, მერაბის და ილია ჭავჭავაძის გზით. არ დაუჯერებს იმ ძალებს, რომელიც შეფუთული მივა მასთან და ყალბი დაპირებებით და ყალბი იდეებით დაიწყებს მის მოტყუებას. ამის ნათელი დადასტურებაა ვარდების რევოლუცია. თქვენ კარგად იცით, რომ წალენჯიხიდან წამოსულმა ავტობუსებმა და ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა მოახდინეს ფაქტობრივად ვარდების რევოლუცია. მათ იცოდნენ, რომ შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმი, რომელსაც ყველაზე დიდი მოღალატე, ქართველი ერის ისტორიაში, ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, უნდა წასულიყო, მაგრამ ისინი მოატყუეს. შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმის დამარცხების შემდგომ, ქვეყანამ ისევ შევარდნაძის გზაზე სიარული გააგრძელა. ამიტომ ნიჰილიზმია დღეს სამეგრელოში. როგორ ფიქრობთ, მოსახლეობა, რომელიც მხარს უჭერდა გამსახურდიას, როგორ შეიძლება ის ახალაიების, ან სხვა ასეთი ტიპის მოვლენების მომხრე იყოს. შეიძლება ასი კაცი გადაბირებული ჰყავთ და ამუშავებენ თავის მხარეზე, მაგრამ რეალურად სამეგრელო არის სპეციფიკური რეგიონი.

***— სპეციფიკურში რა იგულისხმება?***

— სპეციფიკური იქიდან გამომდინარე, რომ სამეგრელოში ყველაზე მეტად არის ქართული სული. იქ გინდა ხელისუფლება და გინდა ოპოზიცია, ყალბი იდეებით და არაქართული იდეებით როდესაც ჩახვალ, ყოველთვის დამარცხდები. მე ვერავის ვერ მოვთხოვ, რომ ახალი ზვიად გამსახურდია გახდეს, იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიასნაირი პიროვნებები ხუთ საუკუნეში ერთხელ იბადებიან. ოპოზიციას თუ სურს რაიმე წარმატება მოიპოვოს სამეგრელოში და მთლიანად საქართველოში, მათ უნდა განაცხადონ, რომ ისინი არიან პროქართული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ძალები, რომლებისთვისაც მთავარი განმსაზღვრელი არის სამი მცნება — მამული, ენა, სარწმუნოება. მოდით, ნიჰილისტურად ნუ მივუდგებით სამეგრელოში ოპოზიციის აქციას. სამეგრელოს მოსახლეობა მზად არის იმისთვის, რომ ქართულ საქმეს დაუჭიროს მხარი. ქართულ საქმეს და არა შევარდნაძის გზის გაგრძელებას. ამას არც სამეგრელო და არც სხვა რეგიონი არ დაუჭერს მხარს. ამიტომ ნათლად უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის გზა არის ეროვნული გზა. გამარჯვების ფორმულა, მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულობაშია. ჩვენ ერთი შეცდომა უკვე დავუშვით ვარდების რევოლუციის დროს, როდესაც მთელი საქართველო მიშა, მიშას გაჰყვიროდა. მაშინ ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები გავჩერდით და ვთქვით, რომ უნდა დამარცხებულიყო შევარდნაძის რეჟიმი, მაგრამ რაც მივიღეთ, კი ვხედავთ. ახლა ჩვენ იგივე შეცდომას არ დავუშვებთ. თუკი დავინახავთ, რომ ვინმე მოდის ყალბი იდეებით, რაც არ უნდა დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს, ჩვენ მას წინ აღვუდგებით და არ მივცემთ შევარდნაძის გზის გაგრძელების უფლებას.

***— ამას წინათ ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა განაცხადა, რომ ივანიშვილს თავი ზვიად გამსახურდია ჰგონია და მასავით დაამთავრებსო...***

— გიორგი თარგამაძისთვის ზვიად გამსახურდია იგივეა, რაც ჩემთვის ჩინური ენა. ერთი გარდაცვლილი ზვიად გამსახურდია ათას გიორგი თარგამაძეს სჯობს. ამ ხალხმა ისიც კი არ იცის, რომ ბრძოლაში სახელოვნად სიკვდილი, სამშობლოსთვის თავის შეწირვა, ბევრად მეტი ღირსება და პატივია, ვიდრე ხელისუფლების ხელიდან კვება და ღალატი. თავისი პატრონების ღალატი. ამ პიროვნებას ორი პატრონი ჰყავდა. ერთ პატრონს მეც ძალიან კარგად ვიცნობდი და ვნახე, როგორ დაუფასა მას ამაგი და ბადრი პატარკაციშვილსაც ყველამ კარგად დაინახეთ, როგორ დაუფასა ერთგულება. ძაღლმა იცის თავის პატრონის ერთგულება და სამწუხაროდ, ადამიანებმა არ იციან ხოლმე ეს. ეს არის დიდი სიბეცე და სიბრმავე. ბიძინა ივანიშვილი არის ბიძინა ივანიშვილი, ზვიად გამსახურდია გახლდათ ზვიად გამსახურდია. ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, რომ გახდეს ქართველი ერის კრიზისიდან გამომყვანი ადამიანი, დანარჩენი კი თავად მასზეა დამოკიდებული.

## ქართული ოცნების“ აქცია ოზურგეთში დასრულდა, მომდევნო კი მცხეთა-მთიანეთში გაიმართება

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მორიგი აქცია 1 ივლისს მცხეთა-მთიანეთში გაიმართება. კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს ოზურგეთში აქციაზე შეკრებილ საზოგადოებას გამარჯვებისთვის მზადებისკენ მოუწოდა.

ბიძინა ივანიშვილმა აქციაზე გურულების განსაკუთრებულ ნიჭზე გაამახვილა ყურადღება და სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებაზე, რეგიონის წინსვლის გეგმებზე და სხვა პრიორიტეტებზე ისაუბრა.

ნიუსპრესი

## ქეთი დუმბაძე: ნურაფრის შეგეშინდებათ, შეშინებული ადამიანები ქვეყანას ვერ ააშენებენ



ოზურგეთის ცენტრში კოალიცია „ქართული ოცნების“ აქციის მონაწილეებს ცნობილი მწერლის ნოდარ დუმბაძის შვილმა, ჟურნალისტმა ქეთი დუმბაძემ მიმართა. მისი თქმით, მას სჯერა, რომ ივნიშვილი და მისი გუნდი შეძლებს ქვეყანაში ვითარების შეცვლას და ამის გამო დგას ის მათ გვერდით.

„იმერეთის სოფლებში მოსახლეობა ამბობდა, რომ გვაშინებენო. ნურაფრის შეგეშინდებათ, შეშინებული ადამიანები ქვეყანას ვერ ააშენებენ. ჩვენ მზე უნდა დავიბრუნოთ გულებში და ამას ეს გუნდი გააკეთებს. მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით — თავისუფალი და ბედნიერი ქართველები“ — განაცხადა დუმბაძემ.

როგორც მან აღნიშნა, ნოდარ დუმბაძის ცხოვრებაში იყო მძიმე დრო, როდესაც ის ობლად დარჩა და ბევრმა მას ზურგი შეაქცია, თუმცა, იყვნენ ადამიანები, ვინც ის გაზარდა და მას სიკეთის არსებობის რწმენა დაუბრუნეს და ეს ხალხი გურულები იყვნენ.

„მე ვდგავარ აქ, თქვენს გვერდით რათა, ეს სიკეთე დაგიბრუნოთ“ — აღნიშნა მწერლის ქალიშვილმა.

აქციაზე პედაგოგების პროფკავშირების შექმნის ინიციატივით გამოვიდა პედაგოგი ნათელა თოხაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენებულ სკოლაში ისევ მაშინდელი მერხები დგას.

„განათლების სისტემა არ არსებობს პროფკავშირების გარეშე. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ დაცული იყოს პედაგოგების უფლებები“ — განაცხადა თოხაძემ.

მან პედაგოგებს აქტიურობისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ არ შეიძლება თავი ქვიშაში ჩარგონ.

„ვიდგეთ იქ, სადაც დემოკრატიაა და არა ავტოკრატია, სადაც გონივრული ქმედებებია და არა იმპულსებზე აგებული ქმედებები და ვიდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია. ეს არის ბრძოლა მომავლისთვის“ — განცხადა პედაგოგმა.

პედაგოგის გამოსვლას გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილი და აღნიშნა, რომ თბილისის სკოლებისთვის მან 100 ათასზე მეტი მერხი შეიძინა, თუმცა, ეს არ არის საკმარისი.

„ისეთი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს ქვეყანას, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეძლოს საჭირო ინვენტარის შეძენა, ხოლო თუ ტრანსფერებია საჭირო, ეს კანონის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს და არა ერთი ადამიანის განწყობით“ — განაცხადა ივანიშვილმა.

ნიუსპრესი

## მედია ადვოკატირებისთვის“ მიიჩნევს, რომ მოსახლეობისთვის მედიის ხელმისაწვდომობა იზღუდება

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 4 და 8 მაისის გადაწყვეტილებები „გლობალთV“— სთვის რეტრანსლირების არაპირდაპირი გზით აკრძალვის შესახებ, საქართველოს მოსახლეობისთვის მედიის ხელმისაწვდომობას ზღუდავს.

ამის შესახებ კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, ქვეყანაში პლურალისტური მედია სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს და უკვე გამოკვეთილია საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ოფიციალური პირების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

„მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის უკან გადადგმული ნაბიჯი, რადგანაც „გლობალ თV“ ტექნიკურად ვერ აღასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუ არ მოახდენს მისი სატელიტური ანტენების დემონტაჟს“— ნათქვამია განცხადებაში.

კოალიცია მიიჩნევს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები მომხმარებელთა უფლებების უპრეცედენტო დარღვევის, კერძო საკუთრების ხელყოფისა და მრავალფეროვან ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის საფრთხეს შეიცავს.

კოალიცია იწყებს ადვოკატირებას, რომ არსებული საფრთხე არ იქცეს რეალობად და საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით.

სასამართლოს გადაწყვეტილებით კომპანია „გლობალ თV“-მ საქართველოს მასშტაბით დამონტაჟებული ყველა სატელიტური ანტენის დემონტაჟი უნდა განახორციელოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისა და „იმედის“ მიერ მარტში შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა.

ნიუსპრესი

## ქართული ხალხური ზღაპრების ორენოვანი წიგნები ამერიკაში მცხოვრებ ემიგრანტ ბავშვებს გადაეცემათ

ამერიკული ცენტრი „ლანგეითის“ და „ამერიკის მეგობართა კლუბის“ ორგანიზებით, დღეს პროექტის — „თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“ ფარგლებში, ქართული ხალხური ზღაპრების ორენოვანი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც პრეზენტაციაზე „ლანგეითის“ დირექტორმა მარი ჩანგიანმა „ნიუპრესს“ განუცხადა, პროექტი — „თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“ ფარგლებში, კონკურსის მონაწილეებმა ქართული ზღაპრები გადათარგმნეს, საიდანაც 9 საუკეთესო გამომცემლობა „ლეთას“ მიერ დაბეჭდილ წიგნში შევიდა.

ნიუსპრესი

# ილია II ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის შეჩერებას ითხოვს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბაგრატის ტაძრის მშენებლობა-რესტავრაციის შეჩერებას ითხოვს. ამის შესახებ გუშინ მან სამების ტაძარში, საკვირაო ქადაგებისას ისაუბრა.

პატრიარქის თქმით, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის გარშემო ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა და კრიტიკოსებს საპატრიარქოც ეთანხმება.

როგორც მან აღნიშნა, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი ტაძარი ლოცვისა და წირვისთვისაა და არა იმისთვის, რომ ხალხმა იგი მხოლოდ ისტორიულ ძეგლად აღიქვას.

მისვე თქმით, ტაძარში ხალხის სულიერი ამაღლება უნდა ხდებოდეს და წირვა-ლოცვები ტარდებოდეს.

„ჩვენ თვითონ მხარს ვუჭერდით რესტავრაციის იდეას, მაგრამ ბოლო დროს გავრცელდა ხმები, რომ ბევრი რამ კეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ტაძარს ზიანი მიაყენოს და ბევრი დარღვევებია რესტავრაციისას" – ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ საფრანგეთში ამ საკითხზე იგი „იუნესკოს" პრეზიდენტს ესაუბრა.

„მინდა ვთქვა, რომ ბევრი რამ არასწორადაა გაკეთებული და ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ მშენებლობა და რესტავრაცია საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე, თვითნებურად ხდება. სწორედ ამიტომ, მე გავეცი ბრძანება, რომ დროებით შეწყდეს სარესტავრაციო საქმიანობა ბაგრატის ტაძარში" – აღნიშნა მან და დასძინა, რომ სამუშაოები მანამდე შეჩერდება, სანამ არ გაირკვევა ზუსტად რა უნდა გაკეთდეს.

პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა ბაგრატის ტაძრის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობაზეც და აღნიშნა, რომ ასე უბრალოდ არ უნდა უნდა ხდებოდეს მისი ხელისხლება.

უწმინდესის თქმით, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებით გაიმართება შეხვედრები „იუნესკოს" წარმომადგენლებთან, ასევე, შეხვედრა შედგება საპატრიარქოსა და მშენებლებს შორის და ამ საკითხში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საპატრიარქოს კომისია.

მისივე განცხადებით, ამის შესახებ ეცნობება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს და ტაძრის რესტავრაცია მაშინ განახლდება, როცა სამუშაოებთან დაკავშირებით ყველა დეტალი გაირკვევა.

უწმინდესმა აღნიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ბაგრატის ტაძრის „იუნესკოს" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან ამოღება.

**ნიუსპრესი**

# პრეზიდენტი ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარების ტემპებით უკმაყოფილოა



ფოთში დასაქმების პრობლემის მოგვარების მიზნით, კომპანია „სოკარი" ნავთობპროდუქტების ქიმიურად გადამამუშავებელი მსხვილი საწარმოს მშენებლობას იწყებს, სადაც დაახლოებით 2 ათასი ადამიანი დასაქმდება.

ამის შესახებ გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფოთში, ერთ-ერთი კორპუსის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა. პრეზიდენტმა მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ის უკმაყოფილოა ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარების ტემპებით და აუცილებლია ახალი მძლავრი საწარმოების შექმნა.

„ზონამ, როგორც მოველოდით, ისე არ გაამართლა, საწარმოების გახსნა ზონის შიგნით თითქმის არ მიმდინარეობს. რამდენიმე მცირე საწარმო გაიხსნა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის" – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, დასაქმების პრობლემის მოგვარების დასაწყებად აუცილებელია საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება.

აგვისტოს ბოლოდან ან სექტემბრიდან „სოკარი" ფოთში ახალი საწარმოს მშენებლობას დაიწყებს. მშენებლობა 2 წელი გაგრძელდება და პრეზიდენტის თქმით, რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდება. ამოქმედების შემდეგ კი, ქარხანა დაახლოებით 2 ათას ფოთელს დაასაქმებს.

გარდა ამისა, სააკაშვილის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა ფოთში კერამიკული ქარხნის ამოქმედების მიზნით და ავტომობილების აწყობის კონცეფცია მუშავდება .

პრეზიდენტი ფოთელებს ტექნიკური გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობაზე ესაუბრა.

მისი თქმით, ახალი ქალაქის ლაზიკას იდეის მიზანი ფოთის გაძლიერება-გაფართოვებაცაა.

ქალაქის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი და შეღავათიანი სისტემა, რომელიც მოსახლეობას გაზიფიცირების საფასურის დაფარვას გაუმარტივებს. მან წყალმომარაგების პრობლემაზეც გაამახვილა ყურადღება და განაცახდა, რომ ფოთელებს 2015 წლიდან 24 საათიანი წყალმომარაგება ექნებათ.

**ნიუსპრესი**

# გოგი ხუციშვილი: ნაციონალებში დაპირისპირებაა"

## რა წესს არ დაარღვევენ მმართველი გუნდის წევრები

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან

***– ბატონო გიორგი, წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისას როგორი იქნება ეუთოს დასკვნები? ისინი უკვე ჩამოსული იყვნენ და შეხვედრებიც გამართეს...***

– უპირველესად ყოვლისა, რატომ არის ეუთოს სადამკვირვებლო მისია მნიშვნელოვანი არჩევნებთან დაკავშირებით? საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით საერთაშორისო კრიტერიუმები ძირითადად ეუთოს ფარგლებში არის გამომუშავებული. ეუთოს მიერ არის სტანდარტები საერთაშორისო დონეზე დაწესებული. გარდა ამისა, ტრადიცია არსებობს, რომ ეუთოს მისიის დასკვნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო წრეებისთვის, განსაკუთრებული წონა აქვს.

***– ეუთოს მისიის დასკვნას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს?***

– დიახ. ამიტომაც ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ სრული ინფორმაცია ჰქონდეთ იმის შესახებ, რაც აქ ხდება. ასევე მნიშვნელოვანია, სწორი ორიენტირი ჰქონდეთ აღებული, რომ გაიგონ, რა რეალობაა ქვეყანაში. რამდენად შეესაბამება წინასაარჩევნო გარემო, არჩევნებთან დაკავშირებული პროცესები იმ მოთხოვნას, რომელიც არსებობს ევროპაში.

***– ეუთოს სრული ინფორმირებულობა წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით რაზე დამოკიდებული?***

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნება დაბალანსებული ის ინფორმაცია, რომელსაც ეუთოს სადამკვირვებლო მისია ღებულობს. გააჩნია, ვის შეხვდებიან ეუთოს დამკვირვებლები – ხელისუფლებას, ოპოზიციას. მაგალითად, არსებობს ერთი ინფორმაცია, რომელიც მოდის ერთი პოლიტიკური ჯგუფიდან და მეორე, რომელიც მისი პოლიტიკური მეტოქიდან მოდის. ეს ინფორმაციები თანაბრად უნდა იყოს მიწოდებული. თვითონ მისია, ვისთან გამართავს შეხვედრებს, რა კრიტერიუმებსა და რა მეთოდიკას გამოიყენებს, ამაზე ძალიან ბევრი არის დამოკიდებული. არა მხოლოდ ხმის მიცემის დღეს, არამედ წინა პერიოდშიც ყველა რეგიონში, სოფელსა თუ ქალაქში აკრეფილი იყოს ის ინფორმაცია, რომელიც საჭირო სრული სურათის შესაქმნელად. სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ სრული სურათი მიიღონ ზოგიერთი რაიონიდან.

***– თქვენ აღნიშნეთ, გააჩნია, ვის შეხვდებიან – ხელისუფლებას? ოპოზიციას? თუმცა, ნეიტრალური არასამთავრობო ორგანიზაციები ხომ არსებობენ, რომლებიც რეალურ ინფორმაციას მიაწვდიან?***

– რასაკვირველია. მაგალითად, მოძრაობა „ეს შენ გეხება", სადაც ჩვენი ორგანიზაციაც შედის, ძალიან აქტიურად მუშაობს. ჩვენ, წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგს ვახდენთ პრაქტიკულად.

***– და როგორია ეს შედეგები, რამდენად არის წინასაარჩევნოდ თანაბარი გარემო პოლიტიკური ძალებისთვის?***

– რა თქმა უნდა, არ არის თანაბარი პირობები შექმნილი. ის, რაზეც იყო საუბარი სააკაშვილი-ობამას შეხვედრის დროს, ასევე ჰილარი კლინტონის ვიზიტის დროს რაზეც გამახვილდა ძალიან აქტიურად ყურადღება, რომ თანაბარი საარჩევნო პირობები იყოს შექმნილი ყველა პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს, რა თქმა უნდა, რომ ასე არ არის. მაგალითად, კონტროლის პალატის ქმედებები ამაზე არ მუთითებს, პირიქით, აშკარად ცალმხრივი ქმედებებია. სრულიად ნათლად ჩანს, რომ ზედმიწევნით მკაცრია ერთი პოლიტიკური სუბიექტის, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიციის მიმართ. ამავე დროს, ადმინისტრაციული რესურსი, ყველანაირი საშუალება, რომელიც მმართველ პარტიას აქვს იმისთვის, რომ თავის სასარგებლოდ წარმართოს პროცესები, ეს, რა თქმა უნდა, კონტროლის პალატის ყურადღების მიღმა რჩება. კონტროლის პალატა თავის რეალურ ფუნქციას რომ ასრულებდეს და ის ნეიტრალური იყოს, ორივე ძალას, ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც სთხოვდეს ერთნაირი თამაშის წესებით ითამაშოს, იცავდეს კანონს, მაშინ რასაკვირველია, სრულებით სხვა სიტუაცია გვექნებოდა. ამ შემთხვევაში კონტროლის პალატის მხრიდან ის კანონდარღვევები, რომელსაც ხელისუფლება სჩადის, ყურადღების გარეშე რჩება, მაგრამ ეს ორგანო ზედმიწევნით დემონსტრაციულად პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ იჩენს სიმკაცრეს.



***– ასეთი აშკარა და ღია ქმედება კონტროლის პალატის, ხელისუფლებისთვის ხომ ცნობილია, რომ შეუმჩნეველი არ დარჩება თუნდაც საერთაშორიოს ორგანიზაციებს, სახელმწიფო დეპარტამენტს, რატომ არის ასეთი ღია თამაში მათი მხრიდან თუ შეიძლება ასე ითქვას?***

– „ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსული ხელისუფლების პოლიტიკის, მე ვიტყოდი იდეოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია გამომწვევად მოქცევა. შექმნან ისეთი ვითარება ქვეყანაში, რომ მათ არაფერი შეიძლება დაემუქრნონ, რომ ისინი ყველა შემთხვევაში გაატარებენ იმ ხაზს, რაც მათ სჭირდებათ.

***– უძლეველები არიან – ამ მითს ქმნიან?***

– ასეთი შთაბეჭდილების შექმნა არის პოლიტიკის ნაწილი. კონტროლის პალატის ქმედებები მოზომილი რომ იყოს, ამათ არ უნდათ, რომ შექმნას ხალხში რაიმე ეჭვი, რომ თითქოს მიდგომა შეიცვალა, რომ უფრო ლიბერალური გახდა სისტემა. სისტემის სიხისტე და არა ლიბერალობა თამაშის ნაწილია.

***– ამ თამაშის წესებს ხელისუფლების ყველა წევრი იზიარებს თუ შიგნით არის განსხვავებული აზრები?***

– მე ვიცი, რომ შიგნით არის განსხვავებული აზრები, მაგრამ ეს საჯარო არასდროს არ გახდება იმ მიზეზით, რომ გუნდში არის წესი, რომ არსებული აზრთა სხვადასხვაობა ან უთანხმოება არ გახდეს საჯარო.

***– თუმცა, უგულავამ განაცხადა, რომ ის გაუმჯობესებული მიშა იქნება, ასევე გიგა ბოკერიასთან დაკავშირებით არსებობს ინფორმაციები...***

– ვინც ამდენი ხანია ამ სისტემაშია და მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი აქვს, მას აქვს ამბიციები. ისინი უყურებენ შემდეგ ეტაპს, როგორც საკუთარი თავის უფრო მაღალ დონეზე წარმოჩენის საშუალებას.

***– ასეთი იმედი აქვთ?***

– აქვთ, მაგრამ სისტემა შეიცვლება თუ არა, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ქვეყანაში 2004 წლიდან სუპერ საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი გვაქვს, რომელიც ძალისნ დიდი კრიტიკის საგანი გახდა სხვადასხვა ეტაპზე. ასევე, გვაქვს პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მმართველი პარტიის, რომელიც პრაქტიკულად აძლევს საშუალებას, რომ დისკუსიის გარეშე, განუხილველად ყველა გადაწყვეტილება მიიღოს. პრაქტიკულად ყველა პროცედურა, რომელსაც პარლამენტი ითვალისწინებს, მოჩვენებითია ამ პარლამენტის პირობებში. ეს იმდენად არანორმალური ვითარებაა, რომ უნდა, შეიცვალოს. საკონსტიტუციო უმრავლესობა ძალიან მანკიერი პრაქტიკა არის, რომელიც კლავს სახელმწიფოში ყოველგვარ პოლიტიკურ აზრს.

***– თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ის სწორედ საკონსტიტუციო უმრავლესობით აპირებს მოსვლას...***

– პოლიტიკურ ბრძოლაში ასეთი განცხადება შეიძლება მან გააკეთოს. მით უმეტეს, მას, ჩემი აზრით, არ აქვს შანსი, რომ ამ ეტაპზე კონსტიტუციური უმრავლესობა აიღოს. რატომ? იმიტომ კი არა, რომ პოპულარული არ არის, არამედ იმიტომ, რომ დიდი გამოცდილება და ადმინისტრაციული რესურსი დღეს მმართველ პარტიას აქვს. არარეალურია, ასე მოკლე პერიოდში მან აკრიფოს ისეთი გავლენის ბერკეტები, რომ კონსტიტუციური უმრავლესობით გაიმარჯვოს. ეს ამ ეტაპზე, შემდეგ ეტაპზე შეიძლება. თუ მიეცემათ თავისუფლად ქმედების საშუალება და განაღდებული ძლიერი უმცირესობა ექნებათ პარლამენტში, შემდეგ სიტუაცია მათ სასარგებლოდ შეიცვლება.

***– გამოდის, საკონსტიტუციო უმრავლესობას ისევ ხელისუფლება აიღებს?***

– არა, მე ვამბობ, რომ ჩვენ გვაქვს შანსი, უფრო დაბალანსებული პარლამენტი მივიღოთ.

***– და აღარ იყოს საკონსტიტუციო უმრავლესობა?***

– დიახ, ამით ძალიან დიდი შედეგი იქნება უკვე მიღწეული. ვინაიდან ძლიერი უმცირესობის შექმნა პარლამენტში ან თანაბარი სიტუაციის შექმნა უკვე ნიშნავს ნებისმიერი გადაწყვეტილება პარლამენტში სხვა ვითარებასა და გარემოში მიიღება. მთავარი ფუნქცია პარლამენტის წარმომადგენლობითობაა. მომავალი საპარლამენტო არჩევნები ამის შანსს იძლევა.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქეთი ბექაურს აგენტი მიუგზავნა"

პოლიტიკურ პარტია „თავისუფალი საქართველოს" მტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარტიის სამართლებრივი პოლიტიკის ხელმძღვანელ, ადვოკატ ქეთი ბექაურს აგენტი მიუგზავნა. როგორც პარტიის განცხადებაშია ნათქვამი, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა გამოხატა საკუთარი პოლიტიკური სიმპატიები „თავისუფალი საქართველოს' მიმართ და პარტიის სამართლებრივ პოლიტიკის ხელმძღანელად დაინიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი პოლიტიკური ნიშნით დევნა გააქტიურა.

„15 ივნისს „თავისუფალი საქართველო"-ს ოფისში, შინაგან საქმეთა სამინიტროს თანამშრომლებმა ბექაურთან მიაგზავნეს საკუთარი აგენტი. ადვოკატს იგი მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა როგორც კლიენტმა, რომელსაც ესაჭიროებოდა იურიდიული კონსულტაცია. პიროვნება არის სომეხი ეროვნების და როგორც თვითონ განაცხადა ცხოვრობს რუსეთში. აღნიშნულმა პიროვნებამ ქეთი ბექაურს განუცხადა, რომ ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით და ადვოკატისგან მოითხოვდა ინფორმაცა მიეწოდებინა რომელიმე მსხვილი მედია კომპანიისთვის საქართველოში ან საზღვარგარეთ ინტერნეტის საშუალებით, რისთვისაც ბექაურს ჰპირდებოდა ჰონორარის სახით 100 000 ევროს. გარდა ამისა, აღნიშნული პიროვნება ითხოვდა, რომ დაცული ყოფილიყო შეხვედრის კონფიდენციალურობა და მისი პიროვნება არ გამჟღავნებულიყო. ასევე, იგი ცდილობდა ქეთი ბექაურისთვის გადაეცა ტელეფონის სიმ – ბარათი და სთხოვდა მხოლოდ ამ ტელეფონით დაკავშირებოდა მას. უარის მიღების შემდეგ მან დატოვა „თავისუფალი საქართველო"-ს ოფისი", – ნათქვამია პარტიის განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ქეთი ბექაურმა აღნიშნული ფაქტის შესახებ მაშინათვე შეატყობინა „თავისუფალი საქართველოს" ლიდერს კახა კუკავას.

„პარტია „თავისუფალი საქართველო" აღნიშნულ ფაქტს აფასებს დანაშაულის პროვოკაციად და აფრთხილებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავი შეიკავონ მსგავსი ტიპის პროვოკაციებისგან", – აღნიშნულია განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ არჩევნებამდე ქუჩის საპროტესტო აქციების აუცილებლობა დადგება

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 50 პროცენტი მიიჩნევს, რომ არჩევნებამდე ქუჩის საპროტესტო აქციების აუცილებლობა დადგება.

კითხვაზე „დადგება თუ არა არჩევნებამდე ქუჩის საპროტესტო აქციების აუცილებლობის საკითხი" გამოკითხულთა 50 პროცენტმა დადებითად, 6,8 პროცენტმა კი – უარყოფითად უპასუხა.

ამასთან, გამოკითხულთა 36,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს ხელისუფლების შემდგომ ქმედებებზეა დამოკიდებული. შეკითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხულთა 6,7 პროცენტს უჭირს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" შემდეგი გამოკითხვის კითხვა იქნება – „მიგაჩნიათ თუ არა, რომ 2012 წლის შემოდგომაზე დაგეგმილი რუსული არმიის წვრთნები საქართველოსთვის საფრთხეს შეიცავს.

**ნიუსპრესი**

# ნაციონალების იდეოლოგია მხოლოდ კმარას“ მოღერებული მუშტი იყო

## სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას კანონდარღვევა დასჭირდა?

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ თავმჯდომარე ნესტან კირთაძესთან

***– როგორ შეაფასებთ „ქართული ოცნების“ აქციებს თბილისსა და ქუთაისში?***

– მხოლოდ ქუთაისის კონტექსტში არ უნდა შეფასდეს ქუთაისის აქცია, არა მხოლოდ ქუთაისით, არამედ ზოგადად 27 მაისით საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში დაიწყო ახალი პოლიტიკური კულტურა. ადამიანებმა წლების მანძილზე დაკარგეს კონკრეტული ლიდერებისადმი ნდობა, მაგრამ არსად დაკარგულა შეურიგებელი მუხტი, არსად დაკარგულა საქართველოს დღევანდელი ვითარებისადმი შეურიგებლობის ემოცია. ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა მართლაც სერიოზული აქტორი, რომელმაც ჭაობის მსგავსი სტაგნაციური ვითარება ქართული პოლიტიკური ცხოვრებისა დაასრულა და შექმნა პოლიტიკური ბრძოლის პროცესი, რომლის მიზანია, მოახდინოს ძირეული ცვლილებები როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სხვა მიმართულებებით, გამოვიდა ამბიციით, რომ შეცვალოს ეს ხელისუფლება არჩევნების გზით. ხალხი ამ პროცესს ენდო როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში და ეს იქნება სრულიად შეუქცევადი საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის არაქართულ რეგიონებში. ბოლო რვა წლის განმავლობაში მე ვცხოვრობ რუსთაველის გამზირზე და ყველა მიტინგის არათუ მომსწრე და თვითმხილველი ვარ, არამედ – აქტიური მონაწილეც. იყო საშინელი უარყოფითი ენერგიის დემონსტრირება არცთუ უსაფუძვლოდ. ორატორები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხელისუფლებას ჩაქოლვის, ჩამოგდების ვინ უფრო მეტ განაჩენს გამოუტანდა. ეს ყველაფერი პერმანენტულად გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ჩვენ ვნახეთ ახლა სხვა პოლიტიკური კულტურა, სხვა პროცესი. ადამიანები გამოდიან თავიანთი დიდი ღირსებით, დიდი პრინციპულობით, მოთხოვნებით, თანამონაწილეობით ცვლილებებისათვის, ისმენენ საპროგრამო მიმართულებებს და მშვიდად იშლებიან. ბატონი ბიძინას ერთი ფრაზა, რომ ამ წუთიდან თანამებრძოლები ვართ, ჩემთვის არის არა ხატოვანი, არამედ ფრაზა, რომელშიც დევს უზარმაზარი შინაარსი. შინაარსია ისეთია, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იქცა თანამებრძოლად არა ერთი კონკრეტული ადამიანის, არა, ერთი კონკრეტული პოლიტიკური დაჯგუფებისა, არამედ ერთმანეთის თანამებრძოლებად იმისათვის, რომ უკანდაუხევლად შეცვალონ ქვეყანაში ვითარება უკეთესი მომავლისათვის.

***– თქვენ პოლიტტექნოლოგიებს კარგად იცნობთ და, ალბათ, ამჩნევთ, ხელისუფლება ისე ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს ივანიშვილს არა აქვს არანაირი პროგრამა, მაგრამ სინამდვილეში ამ აქციების მეშვეობით ის თავისი პროგრამის ძირითად დებულებებს უგზავნის ამომრჩეველს. თქვენი აზრი მინდა გკითხოთ, რას ნიშნავს ხელისუფლების ეს ქმედებები?***

– მინდა შეგახსენოთ 2003 წელი. მაშინ ნაციონალურ მოძრაობას გაჰყვა მოსახლეობის კონკრეტული ნაწილი. ხალხს არც კი უკითხავს, რა პროგრამული დებულებებით მოდიოდა ეს რეფორმატორად წოდებული ჯგუფი. როგორც პოლიტოლოგს, ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დოკუმენტს, რომელშიც იყო მკაფიო პროგრამა, საით მიდიოდა ქვეყანა. არსებობდა „კმარას“ მუშტმოღერებული ლოზუნგი, რომელიც გამოიფინა საქართველოს მთავრობის ყველაზე მაღალ შენობაზე და ეს მოღერებული მუშტი იქცა ამ ხელისუფლების ძირითად იდეოლოგიად, საპროგრამო პლატფორმად და შემდგომი მოქმედების გეგმად. მაშინ ვკითხულობდი, ვის მოუღერა მიშამ მუშტი? მე და რამდენიმე ადამიანს, რომლებიც გაემიჯნნენ მაშინ ამ ძალადობის პროცესს, კარგად გვესმოდა, რომ ეს მოღერებული მუშტი იყო ძალადობის იდეოლოგია. ამ ძალადობის იდეოლოგიამ მოიტანა სხვა ძალადობა. 2004 წელს მოხდა მსოფლიო კაზუსი, როცა ნახევარი პარლამენტი სახლში გაუშვეს გაყალბებული არჩევნების გამო, ნახევარი მაჟორიტარად არჩეული დეპუტატები კი კანონიერად ცნეს, როცა ძველი პარლამენტის შემადგენლობას სახელმწიფო გადატრიალებაში მიაღებინეს მონაწილეობა, კონსტიტუციით ერთ ადამიანს ჩამოჰკიდეს მონარქის უფლებები და მისცეს ძალადობის სრული კარტბლანში მთელ ქვეყანაზე, ეს იყო მათი პროგრამა და იდეოლოგია, მაგრამ მაშინ ქართველი საზოგადოება, არ ვიცი, დაითრგუნა, არ ვიცი, ემოციურად განეწყო, არ ვიცი, რალაც მოსეირის როლში აღმოჩნდა თუ რა, მაშინ ასეთი მოთხოვნები ქართველ საზოგადოებას ამ ჯგუფის მიმართ არ გასჩენია. ახლა კი ყოველდღე გვესმის პროგრამული დებულებები და არ დარჩენილა არც ერთი მიმართულება, რაზეც პროგრამული დებულებები არ ყოფილიყო. პირდაპირ ეთერში ვუსმენდი ბატონი ივანიშვილის გამოსვლას. ვფიქრობ, მან გულგრილი არ დატოვა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. რატომ ვამბობ უდიდეს უმრავლესობას? იმიტომ, რომ ესენი არიან ყველაზე დაუცველი ფენები, ყველაზე გაჭირვებული ადამიანები. პირველი, რაც შესთავაზა, იყო კომუნალური გადასახადების შემცირება, მეორე – სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მილიარდიანი ფონდის დაარსება, მესამე – ჯანმრთელობის დაცვისათვის მთლიანად პოლიტიკის შეცვლა და მისი მისაწვდომობა თითოეული ადამიანისთვის. ეს იყო განათლებისათვის უმნიშვნელოვანესი მიმართულების მიცემა, როდესაც საუბარია ერთ კონკრეტულ, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე ქალაქის, ქუთაისის, საუნივერსიტეტო ქალაქად ქცევაზე. ქართულ პოლიტიკაში მოხდა უზარმაზარი ტრანსფორმაცია.



როდესაც ჩვენი კოლეგები გვთავაზობდნენ ქუჩას და ამ გზით ხელისუფლების დამხობას, მე მუდმივად არაპოპულარულ ვითარებაში ვიყავი, როცა ჯიუტად ვამბობდი, რომ ერთადერთხელ მაინც უნდა მოხდეს ამ ქვეყანაში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ჩვენ დავინახეთ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქუჩის გზით ხელისუფლების შეცვლას და რა შეიძლება მოჰყვეს ევროპული ტიპის საარჩევნო კამპანიას, როცა ადამიანები თავიანთი ღირსებებითა და უკანდაუხევლობით უდიდესი რაოდენობით გამოდიან და ხდებიან პროცესის თანამონაწილეები.

***– 7 ნოემბრისა და 26 მაისის ძალადობის შემდეგ ისეთი ტენდენცია გამოჩნდა, რომ ხელისუფლება იყო ძალიან თავდაჯერებული, იმიტომ რომ მოსახლეობაში ნდობა ლიდერების მიმართ დაიკარგა. საკრებულოს არჩევნები ამის გამოხატულება იყო. ხელისუფლებისთვის ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა მოულოდნელი იყო. მასში დაინახეს რეალური კონკურენტი და ვერ ახერხებს, მას, უბრალოდ, კონკურენცია გაუწიოს.***

– გეთანხმებით, ამ ძალადობის გზით, რაზეც თქვენ საუბრობდით, ჩამოაყალიბა ერთი სტერეოტიპი, გამოეწვია ხალხის მასობრივი აღტყინება, მასობრივი პროტესტი, უარყოფითი ემოცია და ამას აკეთებდნენ არა პოლიტიკური პარტიების ლიდერები, არამედ თავად ხელისუფლება ერთადერთი გზით – იღებდა გადაწყვეტილებებს მასობრივად სამუშაოდან დათხოვნაზე, პურს, ტრანსპორტს, პროდუქტს აძვირებდა, იღებდა გადაწყვეტილებებს სხვადასხვა დაწესებულების დახურვაზე ანუ ქუჩაში უშვებდა ხალხს, აკუმულირებას უკეთებდა ამ უარყოფით ენერგიას. ესეც პოლიტიკური ტექნოლოგიაა, რომელიც, სხვათა შორის, ავტორიტარული რეჟიმებისთვის კარგად ცნობილი ტექნოლოგიაა. შემდეგ ამას, ნებსით თუ უნებლიეთ, სათავეში უდგებოდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერები. ეს სტერეოტიპი დაანგრია ბიძინას შემოსვლამ პოლიტიკაში. ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს შემოსვლა მოულოდნელი იყო. რამდენიმე თვით ადრე დაიწყო ცნობილი კამპანია ივანიშვილის წინააღმდეგ. ხელისუფლება იყენებდა კონკრეტულ ჯგუფს მისი დისკრედიტაციისთვის. ეს იყო მთაწმინდაზე მივარდნები და მიტინგების ჩატარება მის რეზიდენციასთან. თუმცა, ღვთის წყალობით, ეს არ მოხერხდა.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნუ ვიტყვით, რომ ამ ხელისუფლებას არა ჰყავს თავისი მხარდამჭერები, ნუ მოვიტყუებთ თავს. კარგად დავთვალოთ პოლიცია, ჯარი, ასობით პრობაციონერი, დახურული უბნები, არაქართველებით დასახლებული რეგიონები. ესენი არიან წინასწარ ტყვედ აყვანილი ადამიანები და მათი ოჯახის წევრები. მადლობა ღმერთს, ირაკლი ალასანიამ გატეხა ნავსი და ჩაატარა უსერიოზულესი საარჩევნო კამპანია სამეგრელოში. პოლიტიკური ლიდერები აქამდე არჩევნების წინ ცდილობდნენ, ერთ კვირაში მოევლოთ მთელი საქართველო და შორიდან გადაეხედათ ვითარებისთვის. ირაკლიმ უჩვენა მართლა კონკრეტული წინასაარჩევნო კამპანია. ორლობეებისა და შუკების დონეზეც კი მოსახლეობასთან ყოველდღიური შეხვედრებით გაუბედურებული სამეგრელოს რეგიონის მთელი სინამდვილე გამოიტანა.

***– თქვენი საქმიანობით სამოქალაქო სექტორში და იმ საკითხებით, რომლებიც ემსახურება აფხაზებისა და ოსების ქართველებთან დაახლოებას, კმაყოფილი ხართ?***

– ორი კვირაა, რაც ჩამოვედი დიდი ევროპული ტურნედან. ბრიუსელის მიწვევით ვიყავი საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიასა და ჰოლანდიაში. შეხვედრები მქონდა ევროკომისიისა და ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების მინისტრ კეტრინ ეშტონის კაბინეტთან. შეხვედრები გაიმართა ევროპულ ქვეყნებში საგარეო საქმეთა სამინისტროებში, პოლიტიკურ ლიდერებთან, დიპლომატიურ ელიტასთან. პირველი აღიარებაც მივიღეთ, როგორც უნიკალური და უპრეცედენტო მიმართულებისა. კომუნიკეში ოფიციალურად ჩაწერეს, რომ ეს არის პლატფორმა, რომელიც სამშვიდობო ინტეგრაციული პროცესების გამაერთიანებელია მთელ სამხრეთ კავკასიაში. ეს არის პროგრამა ხალხი ხალხისათვის. რომელიც არ ითვალისწინებს პოლიტიკური სტატუსის საკითხების გარკვევას. ეს არის მტკივნეული საკითხი და დროსთან არის დაკავშირებული, მაგრამ გადავდგით მამაცი ნაბიჯები იმისათვის, რომ ვუთხრათ მთელ მსოფლიოსა და ჩვენს მონათესავე ხალხს, რომ უნდა დავასრულოთ ოცწლიანი სისხლიანი კონფლიქტების ისტორია და გაუაზრებელი მსხვერპლი, ნგრევა. ამ პროცესს აქვს დიდი მომავალი. ვმადლობ ღმერთს და ჩვენს პატრიარქს, რომ სწორედ ამ მიმართულებით გავაგრძელე საქმიანობა. არა მგონია, დღეს არსებობდეს ამაზე დიდი პოლიტიკა და ამაზე მნიშვნელოვანი და სანატრელი საქმე, რომელიც ქართველს შეუძლია გააკეთოს. ჩვენ ვიქნებით ის შუამავალი, რომელიც სჭირდება როგორც სოხუმს, ისე ცხინვალს ევროპასთან ურთიერთობისათვის.

# დღევანდელი მმართველი გუნდი თავისუფალი არჩევნების ჩატარებას არ დაუშვებს“

„დემოკრატიული მოძრაობა“ ეხმიანება „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ გამოქვეყნებულ წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე შუალედურ ანგარიშს.

ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ „დემოკრატიულ მოძრაობის“ განცხადებას „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„დემოკრატიულ მოძრაობის“ შეფასებებსა და დასკვნებს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის, არსებული საარჩევნო გარემოს და ხელისუფლების შესაძლო ქმედებებთან დაკავშირებით, ოპოზიციის დიდი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა და ხშირ შემთხვევაში ჩვენს მიმართ კრიტიკით გამოდიოდა.

„დემოკრატიული მოძრაობა“ აცხადებდა და აცხადებს, რომ ქვეყნის დღევანდელი მმართველი გუნდი არ დაუშვებს ქვეყანაში რეალურად დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. როგორც მოსალოდნელი იყო, ისედაც მძიმე საარჩევნო გარემო, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო დამძიმდა და სააკაშვილი და მისი გარემოცვა ყველაფერზე მიდის იმისათვის, რომ გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა.

აღნიშნულის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ გამოქვეყნებული შუალედური ანგარიშიც, რომელიც ქვეყანაში შექმნილ ბოლო ერთი თვის მდგომარეობას ასახავს. ხელისუფლება კიდევ უფრო ამკაცრებს ტერორს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეებისა და რეალურად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და მათი მომხრეების მიმართ.

„დემოკრატიული მოძრაობა“ კიდევ ერთხელ მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, არასამთავრობო ორგანიზაციებს – ხელისუფლების უკანონო ქმედებების არსებული დინამიკა უკვე ღიად უჩვენებს, რომ ქვეყნის მმართველი რეჟიმი მიდის დიქტატურისაკენ და სანამ კიდევ არის მცირე შანსი, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს ნორმალური ცხოვრებისა და განვითარების გზას და თავიდან აიცილოს არასტაბილურობა, მოგმართავთ თქვენ, რათა გადადგათ უფრო ქმედითი ნაბიჯები ხელისუფლების შესაჩერებლად.

ჩვენ ვიცით, რომ 2009 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მსგავსად, ხელისუფლება გეგმავს მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც გაიფორმოს გამარჯვება. საქართველოს მოქალაქეებში სააკაშვილის და მისი რეჟიმის საწინააღმდეგო განწყობა ყოველდღიურად მატულობს და რაც უფრო ნაკლები დრო რჩება საპარლამენტო არჩევნებამდე, სააკაშვილის გუნდი კიდევ უფრო გააძლიერებს წნეხსა და ტერორს მიზნის მისაღწევად, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მომავალი საპარლამენტო არჩევნების რეალურად თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარებას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას და უკიდურესად ზრდის სამოქალაქო დაპირისპირების ალბათობას.“ – ნათქვამია განცხადებაში.

მედიანიუსი



# ოზურგეთში მიმავალ ზურაბ ზვიადაურის ავტომანქანას ქვის ლოდი დაეცა

თბილისიდან ოზურგეთში, „ქართული ოცნების“ აქციაზე მიმავალ კოალიციის წარმომადგენელ ზურაბ ზვიადაურს ინციდენტი შეემთხვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ზვიადაურმა განუცხადა, ხაშურში მის მანქანას საპირისპირო მიმართულებით მოძრავი სატვირთო ავტომანქანიდან გადმოვარდნილი ქვის ლოდი დაეცა.

„ქვის ლოდი საქარე მინას მოხვდა. გატეხილი მაქვს თავი, თუმცა ამას აქციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჩემი გეგმებისთვის ხელი არ შეუშლია. სხვა მანქანაში გადავჯექი და ოზურგეთში მივემგზავრები“, – აღნიშნა ზვიადაურმა.

ის მომხდარს შემთხვევითობით ხსნის და რაიმე წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას გამორიცხავს.

ინტერპრესნიუსი

# ჩუბინაშვილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 28 წლის მუშა დაიღუპა

გუშინ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მშენებარე საცხოვრებელ კორპუსში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისას 28 წლის მამაკაცი დაიღუპა.

როგორც „მედიანიუსს“ ადგილზე განუცხადეს, 28 წლის დავით ჩიქოვანს ჩუბინაშვილის №72 -ში მშენებლობაზე მუშაობის პროცესში დენმა დაარტყა.

ადგილზე გამოიძახეს საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების მანქანა, თუმცა სასწრაფოს მისვლამდე ის უკვე დაღუპული იყო.

მედიანიუსი

# ჯანდაცვის მინისტრმა ზუგდიდში სამედიცინო ცენტრი დაათვალიერა



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი სამეგრელოში ჩავიდა და ზუგდიდში მდებარე „ჩემი ოჯახის კლინიკის“ კუთვნილი მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი დაათვალიერა. მინისტრი ცენტრში მომუშავე ექიმებს გაესაუბრა და მათ პრობლემებს გაეცნო.

,,მოვისმინეთ პერსონალის აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრობლემები დგას. ვისაუბრეთ ხელფასების საკითხზეც, რომელსაც ჩვენ მნიშვნელოვნად გავაკონტროლებთ და დაველაპარაკებით მმართველ კომპანიას“, – განაცხადა მინისტრმა.

ოფიციალური ცნობით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის 150-საწოლიან კლინიკაში პაციენტებს ყველა მომსახურების მიღება შეუძლიათ. სამედიცინო ცენტრში 500-მდე ადამიანია დასაქმებული. საავადმყოფოს ასაშენებლად სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი-სი-აიმ“ 7 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. კლინიკა 2009 წლის იანვარში გაიხსნა.

მედიანიუსი

# ნაციონალების ვებ-გვერდზე კიბერშეტევა განხორციელდა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მათ ვებ-გვერდზე განხორციელებული კიბერშეტევის ფაქტზე სამართალდამცველებს რეაგირებას სთხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ნაციონალიური მოძრაობის“ პრესსამსახურიდან აცნობეს, დღეს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (წწწ.უნმ.გე) განხორციელდა კიბერშეტევა, რის გამოც რამდენიმე საათის განმავლობაში შეფერხდა ვებ-გვერდის ფუნქციონირება და წაიშალა არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

„ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავს სამრთალდამცავ ორგანოებს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. მათივე ცნობით, ამჟამად ვებ-გვერდის ფუნქციონირება სრულად არის აღდგენილი და მომხმარებლებს ჩვეულ რეჟიმში შეუძლიათ ისარგებლონ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ვებრესურსებით.

ინტერპრესნიუსი

# რა პროვოკაციები შეიძლება მოაწყოს ხელისუფლებამ

შორენა კოწოწაშვილი

**ქვეყნის პირველი პირი წინასაარჩევნო პიარის ფარგლებში მუდმივად აფიქსირებს, რომ ივანიშვილის გვერდით პოლიტიკოსები მხოლოდ ფულის გამო დგანან და რომ მისი პოლიტიკური კოალიცია ქვეყნის ნგრევაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მმართველი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ივანიშვილი ამომრჩეველთა მოსყიდვაში დაადანაშაულოს და ამ მიზეზით მილიონობით ლარის ჯარიმის სახით გადახდა დააკისროს.**

სააკაშვილის ხელისუფლების ამ ისტერიკას პოლიტიკური ოპონენტები შიშით ხსნიან. მათი შეფასებით, მმართველი პარტია გრძნობს, რომ არჩევნებს აგებს და უნდათ, რაც შეიძლება მეტი თანხა ამოიღონ ივანიშვილისაგან.

უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ხმების 50%-ის მობილიზებასაც ვერ შეძლებს, რაც მისი ხელისუფლების პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. მისი თქმით, ახლა ამერიკა შიდა პრობლემებითა და არჩევნებით არის დაკავებული და რომელიღაც „ჭე" კლასის, პატარა ქვეყანასთან რა ურთიერთობა ექნება, ამას ყურადღებას დიდად არ აქცევენ.

არის თუ არა ივანიშვილის ლიკვიდაცია ხელისუფლების ინტერესებში და რატომ იკავებენ თავს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ **გელა ნიკოლეიშვილთან.**

***– ბატონო გელა, ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტიც ისე წარმოაჩენს, თითქოს ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ იმ ძალებს, რომლებიც ქვეყნის ნგრევაზე არიან ორიენტირებული. ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდგომ შეცვალა მმართველმა გუნდმა მთავარი კონკურენტის – ივანიშვილისა და მისი კოალიციისადმი ბრძოლის ტაქტიკა?***

– ხელისუფლების ისტერიკას შევაფასებდი, როგორც ისეთ პროპაგანდისტულ ტრიუკებს, როგორც საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმი ყოველთვის ჩასჩიჩინებდა თავის მოსახლეობას, რომ იმპერიალისტებსა და მის აგენტებს არ სურთ, საბჭოთა ხალხის წარმატებები, სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლობა, ამიტომ ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეუშალონ აგენტურას და ხელი აალებინონ საკუთარი საყვარელი ხელისუფლების დაცვასა და მის მხარდაჭერაზე. ეს არის დაახლოებით ის კლიშე, ის ტიპური პროპაგანდისტული ტრიუკი, რომელსაც ყველა დიქტატორული რეჟიმი მიმართავს, რომ აუცილებლად შექმნას მტრის ხატი, ყველა ოპონენტი წარმოაჩინოს, როგორც მტრის მიერ დაქირავებული, მოტყუებული, შეცდომაში შეყვანილი ან, უბრალოდ, როგორც მოღალატეები. სააკაშვილის რიტორიკას თუ დავუჯერებთ, ის ასიათასობით ადამიანი, რომელიც გამოდის ქუჩაში და რომელიც ცდილობს, შეცვალოს ეს დამანგრეველი ხელისუფლება, არის კრემლის მიერ მოსყიდული და მათი ინტერესების გამტარებელი. მაგრამ, მე მგონი, ამას უკვე გასავალი არა აქვს. ეს არის ისტერიკული ძახილი და მხოლოდ თვითდამშვიდება, მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებზე ზემოქმედება, იმიტომ, რომ არ არსებობს არც ერთი პარტია, თუ ეს არ არის ფორმალური ოპოზიცია, რომელზეც ასე ეთქვას და დღესაც არ ამბობდეს სააკაშვილი, რომ ისინი რუსეთის ინტერესებს ატარებენ. ამიტომ შევადარე მე ის სწორედ საბჭოთა პროპაგანდის ტიპურ ნიმუშს, რადგან სწორედ ასე იყვნენ საბჭოთა ლიდერები, ბოლშევიკური ლიდერები, იქნებოდნენ ეს ტროცკისტები თუ მართლა ამერიკის ინტერესების გამტარებლები თუ ულტრამემარცხენეები, მათთვის ყველა იყო დაქირავებული უცხოელი იმპერიალისტების აგენტი. ზუსტად ამ სიტუაციაშია დღეს სააკაშვილი. თუმცა ის ცდილობს, ამას საინფორმაციო საშუალებებით ბნელი ფარდა ჩამოაფაროს, რათა ინფორმაციამ თბილისის გარეთ არ გააღწიოს. ამიტომ ცდილობს ხელისუფლება, ჩაახშოს „გლობალ ტვ"-ს ანტენები. ცდილობს ჩაახშოს დამოუკიდებელი მედიასაშუალებები. მადლობა ღმერთს, რომ წინა საუკუნის შუა ხანების მეთოდები 21-ე საუკუნის დასაწყისში უკვე აღარ ჭრის. მხოლოდ ილუზიაა ის ფაქტი, რომ სააკაშვილი წარმატებას მიაღწევს.

***– პრეზიდენტის აზრით, ივანიშვილის გვერდით ის ადამიანები დგებიან, რომლებიც დანაშაულში არიან შემჩნეული, საბანკო კრედიტები ვერ დაფარეს და ა.შ. რამდენად თავისუფალი იქნება მმართველი პარტიის სია ოდიოზური ფიგურებისგან? სააგენტოებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ როლანდ ახალაია იქნება ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზუგდიდში.***



– ეს სიმპტომატურია. რა თქმა უნდა, ის ვერ იტყვის იმ ასიათასობით ადამიანზე, რომელიც აშკარად მისი ოპონენტია, ხმამაღლა ჩაჰყვირის ყურში და, თუ მართლა ყრუ არ არის, უნდა გაიგოს. ყველაზე ვერ იტყვის ამას და ცნობად სახეებზე, რომლებიც მან ჩარეცხილებად გამოაცხადა, რა თქმა უნდა, ათასგვარ კომპრომატს იტყვის. თუმცა წარუმატებლად შეუძლია დაასახელოს იგივე ზურაბ ზვიადაური, კახი კალაძე, ნონა გაფრინდაშვილი და რა ვიცი, ყველა ის ადამიანი, რომლებმაც მართლა სახელი გაუთქვეს საქართველოს. ხელისუფლება ასეთ ადამიანებს წარუმატებლებად და კორუმპირებულებად აცხადებს, ხოლო ისეთ ადამიანებს კი, როგორიც მამა ახალაიაა – სუფთა და წარმატებულ ადამიანებად, ანუ მათი გაგებით ახალაიების კლანი, კეზერაშვილები და კუბლაშვილები, გია ბარამიძე – ყველა დროის ხელისუფლების მეხოტბე. ასეთი ადამიანები მმართველ ელიტაში დღესაც ბევრნი არიან და ისინი სააკაშვილისთვის წარმატებული ადამიანები არიან. ესენი არიან მმართველი ელიტისთვის წარმატებული ადამიანები, რადგან მათ მონური ერთგულების დასამტკიცებლად შეუძლიათ, მკვლელს ტაში დაუკრან და ვისზეც ეტყვიან, იმას პანღურები ურტყან, ხოლო ის ადამიანები, რომლებსაც ღირსება გააჩნიათ და მის დაკრულზე არ ცეკვავენ, ყველაფერზე ტაშს არ უკრავენ, რობერტ სტურუა იქნება ეს, ზვიადაური თუ სხვა ბევრი წარმატებული ადამიანი, რომლებმაც ღირსება შეინარჩუნეს, ეს ხალხი, რა თქმა უნდა, მათთვის ჩარეცხილია. დრო კი, რა თქმა უნდა, სააკაშვილსა და მის გუნდს ჩარეცხავს.

***– თქვენ სააკაშვილის გუნდის წევრთა მონურ მორჩილებას გაუსვით ხაზი. მმართველი პარტიის საპარლამენტო სიაც ამ ნიშნით დაკომპლექტდება?***

– იგივე ახალაიაზე რომ ვთქვით, ისინი მონა-მორჩილები თუ არ იქნებიან, სააკაშვილის მხარდაჭერას დაკარგავენ. ასე იყო იგივე ოქრუაშვილის შემთხვევაში, როცა მან შეკამათება დაუწყო სააკაშვილს რაღაც-რაღაცებში, ის მტრად გამოცხადდა. როდესაც ყველაზე წარმატებულად შერაცხულმა სალომე ზურაბიშვილმა დაუწყო სააკაშვილს ოპონირება და რაღაც-რაღაცებში არ დაეთანხმა, ასევე მოღალატედ გამოცხადდა. მის გვერდით ვინც კი თავის პიროვნულ ღირსებას წარმოაჩენს და საკუთარი აზრის გამოთქმას გაბედავს, რომელიც არ ეთანხმება ქვეყნის პირველი პირის პოზიციას, ის სააკაშვილისთვის მაშინვე მიუღებელი ხდება.

***– როლანდ ახალაიას კანდიდატურა პრეზიდენტის პარტიისთვის ზუგდიდში გამარჯვების გარანტია?***

– ახალაია და მისი მსგავსი ტიპები ნაციონალური მოძრაობისთვის გამარჯვების მომტანი იქნებიან მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ არჩევნები ჩატარდა ისეთ გარემოში, როგორც აქამდე ტარდებოდა ანუ თუ ნაციონალებს არჩევნების გაყალბების შესაძლებლობა შეუზღუდავად ექნებათ. თორემ, დღეს არსებული რეალური სიტუაციის მიხედვით, ხელისუფლება 20-25%-ზე მეტს ვერ მიიღებს, დაშინებული საჯარო მოხელეებისა და დანაშაულის ჩამდენი პირების ჩათვლით, რომლებსაც ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში პასუხისგება მოუწევთ ჩადენილი დანაშაულებისთვის. აქედან გამომდინარე, თუ ხელისუფლებამ შეძლო 25% გააყალბა და გაყალბებით თავისი ხმები 50%-ს ააცილა, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არ ჩატარდა რეალურად არჩევნები, თუნდაც მიახლოებულ ობიექტურ გარემოში და ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა ამას ვერ შეეგუება. სააკაშვილს, ახალაიებსა და სხვებს გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ ნორმალურთან მოახლოებულ საარჩევნო ბრძოლაში, თუ არ იქნება ტოტალური შიში და ამომრჩეველთა მოსყიდვა. თუმცა, ხელისუფლება სხვას აბრალებს მოსყიდვას, მაგრამ რეალურად მოსყიდვაა ის, რომ სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ჰპირდებიან იმ ადამიანებს, რომლებიც ლოიალურები იქნებიან, სამსახურებიდან ყრიან იმ ადამიანებს, რომლებიც ან გამოჩნდებიან ოპოზიციის მიტინგზე, ან ხმამაღლა იტყვიან რამეს და თავიანთ პოზიციას გამოამჟღავნებენ. უფრო მეტიც, თუ ისინი საჯარო სამსახურში არ იმყოფებიან და კერძო ბიზნესი აქვთ, საფრთხე ექმნებათ, რომ ამ ბიზნესში შეუშვებენ საგადასახადო ინსპექტორებს და აუცილებლად „აღმოუჩენენ" რაღაც დარღვევებს, რაც საბოლოოდ შეიძლება მივიდეს ამ მათ გაკოტრებამდე, ან დაპატიმრებამდე. აი, ამაზე დგას ეს ხელისუფლება. იმედი აქვს, ამ ფსიქოლოგიური ტერორის საშუალებით მოახერხებს ხმების მობილიზაციას. მაგრამ, არა მგონია, ამან დიდხანს გასტანოს, რადგან შიში ტყდება. ვფიქრობ, ხელისუფლება გაყალბებას თუ შეძლებს, ეს იქნება მაქსიმუმ 5-10%. მაგრამ ეს მას ვერ მოუტანს ხმების 50%-ს.

***– ეს შედეგი ხელისუფლებას აწყობს?***

– 50%-ზე დაბლა ხმების მიღება სააკაშვილისა და მისი პარტიისთვის პოლიტიკურ სიკვდილს ნიშნავს. ეს შედეგი ნიშნავს, რომ არჩევნებში გამარჯვებული ძალა აუცილებლად გადახედავს ბევრ საკითხს და არაერთს ამ ხელისუფლებიდან ბნელი პერსპექტივა ელის.

***– დაბოლოს, თქვენი აზრით, შესაძლოა თუ არა, მართლაც ხელისუფლების ინტერესებში იყოს ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია, რაზეც ინფორმაციები პერიოდულად ვრცელდება?***

– სააკაშვილის რეჟიმი წავა ყველაფერზე, რაც მის გადარჩენას ხელს შეუწყობს. მათ იციან, მათი ხელისუფლებიდან წასვლა ნიშნავს მათ ციხეებში წასვლას, იმიტომ რომ ძალიან ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი. ამ დანაშაულებისთვის ერთის დამატება მათთვის არაფერია, ეს ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა იქნება თუ სხვა. ჟვანიას მკვლელობა შერჩათ, გირგვლიანის მკვლელობა შერჩათ და ესეც მორიგი მკვლელობა იქნება, თუ ქართველი ხალხი ამ ყველაფერს შეეგუება. მისგან თავის შეკავების ორი ფაქტორი არსებობს: ერთი – მათ ეშინიათ, რომ ქართველმა ხალხმა ეს სიგნალად მიიღოს და აქ უმართავი პროცესები დაიწყოს, შეიძლება საქმე ძალიან მწვავე შეტაკებებამდეც კი მივიდეს; და მეორე – რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ამაზე თვალი არ დახუჭოს. სწორედ ამიტომ იკავებს სააკაშვილი ამაზე თავს, თორემ ხვალვე სპეცრაზმს შეაგზავნიდნენ და ყუმბარას ან ნარკოტიკს აღმოაჩენდნენ ივანიშვილის ჯიბეში.

# მიწისძვრები საქართველოში

ნინო ღვედაშვილი

რამდენიმე დღის წინ კასპიდან 12 კილომეტრში, სოფელ წინარეხში მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრში მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე 3.8 მაგნიტუდა იყო. ბიძგები თითქმის მთელ საქართველოში იგრძნობოდა. სეისმოლოგების ცნობით, ამ მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.



ილიას უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგი ცენტრის ვებ გვერდზე ამავე დღეს კიდევ ერთი მიწისძვრა დაფიქსირდა. ამჟამად ეს ქალაქ ახალქალაქის ჩრდილოეთით, სოფელ ბარალეთში, მოხდა. მიწისძვრის სიმძლავრე 3.6 მაგნიტუდა იყო.

წელს საქართველოში მიწისძვრა რამდენჯერმე მოხდა. 2012 წლის 7 მაისს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მიწისძვრა მოხდა, რომლის სიმძლავრე 7 ბალს შეადგენდა. ილიას უნივერსიტეტის სეისმური ცენტრის ინფორმაციით, 15 მაისს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მიწისძვრა კიდევ დაფიქსირდა. მისი სიმძლავრე კი 4 მაგნიტუდას შეადგენდა.

საქართველოს ტერიტორია საშუალო სეისმურობით ხასიათდება. აქ მიწისძვრები ას წელიწადში რამდენჯერმე ხდება.

ილიას უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ინფორმაციით, საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრა 1920 წელს მოხდა. ეპიცენტრი გორთან მდებარეობდა, რომლის მაგნიტუდა 6.2 იყო, ხოლო ინტენსივობა ეპიცენტრში 8-9 ბალი იყო. მიწისძვრას საკმაოდ დიდი ნგრევა და მსხვერპლიც მოჰყვა. ამის შემდეგ ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრა 1963 წელს სოფ. ჩხალთასთან მოხდა. მიწისძვრამ ნგრევა გამოიწვია, რადგან მისი სიძლიერე 6.წ მაგნიტუდა იყო, ხოლო ეპიცენტრში ინტენსივობა 9 ბალს შეადგენდა.

საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე მასშტაბური მოვლენა 1991 წლის მიწისძვრა იყო. ის რაჭის მიწისძვრის სახელითაა ცნობილი. მისი მაგნიტუდა 6.9 იყო, ხოლო ინტენსივობა ეპიცენტრში – 9 ბალი. მიწისძვრის ეპიცენტრი რაჭისა და იმერეთის მაღალმთიანი სოფლები იყო. ამის შედეგად 200-მდე ადამიანი დაიღუპა. ამ მიწისძვრას დიდი ნგრევა რაჭის, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში მოჰყვა. დაინგრა და დაზიანდა დაახლოებით 46 000 საცხოვრებელი სახლი, 1000-მდე საწარმო. უსახლკაროდ 100 000-მდე ადამიანი დარჩა.

რაჭის მიწისძვრიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ ბარისახოსთან მოხდა 6.5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა. ამ რეგიონებში მომხდარმა მიწისძვრამ არა მარტო მეწყერული ზონების გააქტიურება გამოიწვია, არამედ ათეულობით ახალი მეწყერისა და კლდეზვავის კერები წარმოქმნა.

მიწისძვრა დედამიწაში დაგროვებული ენერგიის უცაბედი გამოთავისუფლებაა. თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მიწისძვრის დროს, ამაზე რამდენიმე რჩევას გთავაზობთ: მიწისძვრის შემთხვევაში პატარა ნაბიჯებით გადაინაცვლეთ დაცულ ადგილას. თუ მიწისძვრის დროს შენობაში იმყოფებით, იატაკზე დაწექით ან რომელიმე მყარი ავეჯის ქვეშ მოთავსდით და მოეჭიდეთ, სანამ რხევა არ შეწყდება. სხვა შემთხვევაში კი სახე და კიდურები დაიფარეთ და შენობის შიდა კუთხეში დაწექით. თავი მოარიდეთ ფანჯარას, გასასვლელ კარს, რადგან ესენი შეიძლება ჩამოვარდეს.

თუ მიწისძვრის დროს თქვენ ქუჩაში იმყოფებით, შენობასთან სიახლოვეს მოერიდეთ. ბევრ კვლევაშია აღნიშნული, რომ მიწისძვრის დროს ხალხი უმეტესწილად შენობიდან გამოქცევის დროს იღუპება. შენობის ჩამოქცევა და ნანგრევებში მოყოლა მათ დაღუპვას იწვევს.

თუ მიწისძვრის დროს მანქანაში ან სხვა რომელიმე ტრანსპორტში იმყოფებით, არ გადმოხვიდეთ. გაცილებით უსაფრთხოა, თუ შიგ დარჩებით, რადგან ტრანსპორტი, გარკვეულწილად, დაგიფარავთ.

# ახალი მემარჯვენეები" უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელებს შეხვდნენ

„ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე დავით გამყრელიძე და პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საარჩევნო სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე გიგა ბოკერია, კომისიის წევრები – ეკატერინე ზღულაძე, შოთა უტიაშვილი და თამარ კინწურაშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის პრინციპებს.

„ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლებმა კომისიის წევრებს გააცნეს ის ხედვები და მოთხოვნები, რომელიც მათ უწყებათაშორისი კომისიის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით გააჩნიათ. კერძოდ, დავით გამყრელიძემ კომისიის საქმიანობის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით რამდენიმე მოთხოვნა დააყენა. „მემარჯვენეების" ლიდერის განცხადებით, ეს უნდა იყოს მინიმუმ ოთხი ძირითადი პრინციპის – ინფორმაციულობა, გამჭვირვალეობა, ოპერატიულობა და ეფექტურობა უპირობოდ დაცვა.

„კომისიის სხდომები უნდა იყოს გამჭვირვალე, ღია და საჯარო მედიისთვის და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის, კომისია უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესს და სხდომებზე განსახილველი საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმირებას ახდენდეს. კომისიაში საკითხების განხილვა უნდა ხდებოდეს ოპერატიულად, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ სხდომებს უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და კომისიის საარჩევნო დარღვევებზე, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, პოლიტიკურ ზეწოლაზე და პოლიტიკური ნიშნით ამომრჩეველთა დევნაზე უნდა იყოს ეფექტური და სწრაფი რეაგირება. ამ პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად, კომისის ცხელი ხაზი ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი მოქალაქისთვის", – აცხადებენ პარტიაში.

„ახალმა მემარჯვენეებმა" ასევე მოითხოვეს კომისიის შემადგენლობაში შეიყვანონ განათლებისა და მეცნიერების და ჯანმრთელობის, შრომისა და სოცილაური დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, რადგან სწორედ ამ უწყებებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ხდება ყველაზე ხშირად მოქალაქეებზე ზეწოლა და პოლიტიკური ნიშნით დევნა.

**ინტერპრესნიუსი**

# ბაგრატის ტაძარს იუნესკოს სიიდან ამოიღებენ?

ეკა ირემაშვილი

**ქუთაისში მდებარე ბაგრატის ტაძარი შესაძლოა იუნესკოს სიიდან ამოიღონ. ამის შესახებ დასკვნებს ის სპეციალისტები აკეთებენ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია არასწორად მიმდინარეობს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბაგრატის ტაძარი იუნესკოს კრიტერიუმებს ვეღარ აკმაყოფილებს. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის 36–ე სესიაზე ბაგრატის ტაძრის საკითხიც განიხილება.**



დროებით შეჩერებული სარესტავრაციო სამუშაოები ბაგრატის ტაძარზე უკვე 24– საათიან რეჟიმში მიმდინარეობს, რადგან განახლებული ტაძრის გახსნა შემოდგომაზეა დაგეგმილი. ტაძრის არქიტექტორი თენგიზ ვახტანგაძე არ მალავს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება სექტემბრისთვის არის ჩაფიქრებული.

ამ ეტაპზე ტაძარს უკვე დაადგეს გუმბათი.

ბაგრატის ტაძარი ღვთისმშობელის მიძინების სახელობისაა, რომელიც აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მეფობისას ქუთაისში „უქიმერიონის გორაზე“. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებლად იდგა, შემდეგ კი ეკლესია ოსმალებმა დაანგრიეს.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ბაგრატის ტაძრის დახვეწილი პროპორციები, გარე მასების ჰარმონიულობა, გრანდიოზული შიდა სივრცე, ფასადების კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობა, რთულ ტექნიკურ ამოცანათა დაძლევა მოწმობს არქიტექტორის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას.

2009 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით საქართველოს მთავრობამ დაიწყო ტაძრის რეკონსტრუქცია. პროექტი შენობაზე გუმბათის დადგმას გულისხმობდა. რეკონსტრუქციის პროექტმა საზოგადოების არაერთგვაროვანი და მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბაგრატის ტაძარი, ყოველგვარი წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც უნდა აღდგენილიყო და სამუშაოები გაგრძელებულიყო. 2010 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ბაგრატის ტაძარი საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში ჩარიცხა, რის მიზეზადაც კომიტეტმა 2009 წელს ტაძარზე დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაო მიიჩნია, რომელიც შენობის ავთენტურობასა და მთლიანობას არღვევს. 2012 წლის ივნისის მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სხდომაზე ბაგრატის ტაძარი საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში დატოვეს, ხოლო ოქმში აღინიშნა, რომ ის აღარ შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომლის გამოც ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობად იქნა აღიარებული.

ბაგრატის ტაძარში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა მდიდრული სამარხი, რომელიც დიდგვაროვან ქალბატონს ეკუთვნოდა. გამოთქმული მოსაზრებით, სამარხი შესაძლოა ეკუთვნოდეს აფხაზთა მეფის, ლეონ II-ის დედას, ხაზართა ხაკანის ასულს. ბაგრატის ტაძარი გელათის მონასტერთან ერთად იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში 1994 წელს იქნა შეტანილი. ახლა კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა ბაგრატის ტაძართან ერთად კულტურული მემკვიდრეობის სიიდან გელათის მონასტერიც ამოიღონ.

მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო იუნესკოს კომიტეტმა გასულ წელს შეშფოთება გამოთქვა და განაცხადა, რომ მიმდინარე სამუშაოები „დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს“, რადგანაც ის „ტაძრის აუთენტურობას ხელყოფს“, ძეგლის თანამედროვე ელემენტებით მშენებლობა მაინც ხდება.

ბაგრატის ტაძარზე ახალი გუმბათის დადგმამ ნაგებობა სიმაღლეში რამდენიმე სანტიმეტრით აამაღლა. ცნობილია ისიც, რომ ტაძარი სპილენძით გადაიხურება, ხოლო დასავლეთით შუშის ლიფტი დამონტაჟდება, რომელზეც იტალიელი არქიტექტორი მუშაობს.

ტაძრის არქიტექტორ თენგიზ ვახტანგაძის თქმით, მას ტაძრის დასავლეთი ნაწილი აზარია და ბაგრატის პირვანდელი სახის აღდგენა აქვს დავალებული, რომლის ავტორიც ივანე გრემელაშვილია.

– ბაგრატის ტაძარზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებმა, რომელიც ბაგრატის ტაძარზეა გატარებული, გადაფარა ტაძრის პირველადი ავთენტურობა, ამიტომაც ბაგრატის ტაძარი ვეღარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ყოფნისთვისაა საჭირო, – ასე შეაფასა იუნესკომ ბაგრატის ტაძარზე მიმდინარე სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის მიერ ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესის დაწყებასთან ერთად, მოლაპარაკებები დაიწყო ქართულ მხარესა და იუნესკოს წარმომადგენლებს შორის, რომელიც რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოოდ რეაბილიტაციის გეგმაზე თანხმობა ვერ შედგა. 36-ე სესიისთვის მომზადებული წინასწარი დასკვნის შესაბამისად, 2011 წლის ნოემბრის მოლაპარაკებების საფუძველზე იუნესკომ საქართველოს მთავრობას სარეაბილიტაციო გეგმაზე უარი უთხრა და ბაგრატის ტაძარზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება აკრძალა.

როგორც კი ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაცია დადგა დღის წესრიგში, ამის აუცილებლობისთვის საქართველოს მთავრობა რამდენიმე მიზეზს ასახელებდა. მათი თქმით, ბაგრატის ტაძრის აღდგენით მოხდებოდა ბაგრატის ტაძრის სამომხმარებლო ფუნქციების გაფართოება, ბერ-მონაზვნებისთვის ტურისტებისგან განცალკევებული სამყოფელის მოწყობა და ტაძრის მიწისქვეშა ფენაში არსებული არქეოლოგიური ნარჩენების შენახვა. მათივე განმარტებით, შესაძლებელი გახდებოდა ტაძრის არსებული სახით კონსერვაცია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს მიეცა შანსი, იუნესკოში წარედგინა ახალი სარეაბილიტაციო გეგმა, მანამდე კი, საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნით, საქართველოს სამუშაოების გაგრძელება აეკრძალა. აკრძალვის მიუხედავად, ბაგრატის ტაძარზე აღდგენითი სამუშაოები მაინც დაიწყო. იუნესკოს წინასწარ დასკვნაში გარკვეთით არის ნათქვამი, რომ ქართულმა მხარემ ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია იმ გეგმის თანხმად განაგრძო, რომელზეც უარი ეთქვა. ქართულმა მხარემ პატივი არ სცა და არ გაითვალისწინა დაწესებული შეზღუდვა და გააგრძელა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მაშინ, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოები თითქმის დასრულებული ჰქონდა, ქართულმა მხარემ სარეაბილიტაციო გეგმის მეორე სამუშაო ვარიანტი წარმოადგინა 2012 წლის 31 მაისს. ბაგრატის ტაძარი შეიცვალა, დაირღვა მისი ავთენტურობა, ამიტომ ის ვეღარ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რისთვისაც შეტანილ იქნა დაცული ძეგლების ნუსხაში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ბაგრატის ტაძარი საფრთხეში მყოფი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში უნდა შევიდეს, – ნათქვამია იუნესკოს წერილში.

იუნესკო ქართულ მხარეს იმაშიც ადანაშაულებს, რომ რეკონსტრუქციის პროცესში მათ არ გამოიყენეს ორიგინალი სამშენებლო მასალა, რომლითაც თავის დროზე ტაძარი აშენდა. რეაბილიტაციის პროცესში ჩაერთო რკინაბეტონისა და ცემენტის კონსტრუქციები, რაც იუნესკომ წინა სესიაზევე დაუშვებლად მიიჩნია. ახალი გუმბათის, სარკმლებისა და ორნამენტების მოპირკეთება თლილი ქვების ნაცვლად დახერხილი ქვებითა და ახალი ფილებით მიმდინარეობს. თავდაპირველი სვეტები თუ უზარმაზარი ქვები გაბურღულია და შიგ ჩამონტაჟებულია რკინის არმატურა.

ხელოვნებათმცოდნეთა და არქიტექტორთა ნაწილი ბაგრატის ტაძრის კონსერვაციას ითხოვს, ნაწილი კი მისი თანამედროვე მეთოდების აღდგენას მიესალმება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ამტკიცებს, რომ თანამედროვე მეთოდებით აღდგენის შემთხვევაშიც კი იუნესკოსთან ყველა პრობლემა მოგვარებულია და ბაგრატს მსოფლიო კულტურული საგანძურის სიიდან ამოღება არ ემუქრება. მისივე თქმით, იუნესკო მიმდინარე რეკონსტრუქციის 2014 წლამდე შეჩერებას ითხოვს, რაც ოფიციალური თბილისისთვის მიუღებელია.

საქართველოს საპატრიარქო კი ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით მოითხოვდა, რომ „იქ, სადაც ტაძარია, ნანგრევი არ უნდა იყოს“. თუმცა თავის დროზე ბაგრატის ტაძარი იუნესკოს სიაში ისე შეიყვანეს, საპატრიარქოსთვის არ უკითხავთ და არც მისი აღდგენა იყო გათვალისწინებული. ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ივანე გრემელაშვილმა გააკეთა, საპატრიარქოს მიერ მოწონებული იყო. თუმცა ის, რაც ახლა ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციისას ხდება, საპატრიარქოსთან შეთანხმებული არ ყოფილა.

იუნესკოს კომიტეტმა საქართველოს ურჩია ეთანამშრომლა საერთაშორისო ექსპერტთან, ამ საკითხის უკეთესად შესასწავლად და ადგილზე გასაცნობად გასული წლის ზაფხულში საქართველოს ესტუმრა სპეციალისტი ანდრეა ბრუნო და კონკრეტული მითითებებიც გასცა.

იუნესკოს კომიტეტის ყოველწლიური სხდომა ივნისის ბოლოს უნდა შედგეს და სწორედ რიგით 36-ე სესიაზე გადაწყდება, რა ბედი ეწევა ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას.

ბაგრატის ტაძარზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების შეჩერება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემაც მოითხოვა. მისი უწმინდესობის თქმით, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციისას ბევრი დარღვევაა, თანაც რესტავრაცია ტარდება საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად, თვითნებურად და ამიტომ გასცა ბრძანება, რომ დროებით შეწყდეს სარესტავრაციო სამუშაოები. ილია მეორის თქმით, ბაგრატის ტაძარზე სარესტავრაციო სამუშაოები შეწყდება მანამდე, სანამ არ გაირკვევა, რა და როგორ უნდა გაკეთდეს, რადგან ტაძარი უნდა იყოს იმისთვის, რომ წირვა-ლოცვა აღევლინოს.

როგორც საქართველოს პატრიარქმა ბრძანა, საფრანგეთში ვიზიტისას იგი შეხვდა იუნესკოს პრეზიდენტს, რომელთანაც ბაგრატის ტაძრის შესახებ ისაუბრა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალურინემსით, ადგილობრივი გაუტკივარებით, კანის გაღიზიანების გარეშე, სრულად განკურნების გარანტიით. ფასი: ერთი საათი 12 ლარი. ტელ: 2-52-05-52; 294-67-05:

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ, სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ბერძნულ-ჩეხური შოკი სლავებს

### საბერძნეთი-რუსეთი 1:0

*1:0 კარაგუნისი (45)*

**საბერძნეთი:** სიფაკისი, ტოროსიდისი, პაპასტაოპულოსი, პაპდოპულოსი, ცაველასი, კაცურანისი, მანიატისი, სალპინგიდისი (ნინისი 83), კარაგუნისი (მაკოსი 67), სამარასი, გეკასი (ჰოლებასი 64)

**რუსეთი:** მალაფეევი, ანიუკოვი (იზმაილოვი 81), ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი, შიროკოვი, დენისოვი, გლუშაკოვი (პოგრებნიაკი 72), ძაგოევი, კერჟაკოვი (პავლიუჩენკო 46), არშავინი

ბოლო ტურში, პირველ ადგილზე მყოფი რუსეთი ბოლოადგილოსან საბერძნეთს ეთამაშებოდა. არა მარტო საბუქმეიკერო კანტორები, არამედ სპეციალისტები დიდი ნაწილი რუსთა მეოთხედფინალში გასვლას და ადვილ გამარჯვება წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც იგეგმება... ბერძნებმა უსახურად მოთამაშე მეტოქესთან 3 ქულა აიღეს, მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს და ხოლო რუსები ჯგუფში ჩატოვეს.

თამაში ბერძენთა უპირატესობით დაიწყო. მე-6 წუთზე, კაცურანისის სახიფათო დარტყმის შემდეგ, რუსები მალაფეევის კარგმა თამაშმა იხსნა. იმავე წუთზე, უკვე გეკასი ცდილობდა ახლო მანძილიდან გატანას, მაგრამ მცველებმა აჯობეს. ამის შემდეგ, უპირატესობა უკვე რუსების მხარეს გადავიდა.

მათ პირველი სახიფათო შეტევა მე-9 წუთზე განახორციელეს, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან ძაგოევის ჩაწოდების შემდეგ, არშავინი ხელსაყრელი სიტუაციიდან ურტყამდა, თუმცა ბურთი პირდაპირ სიფაკისის დაუმიზნა. მალევე გატანა კერჟაკოვმა სცადა, მაგრამ შემტევი მიზანმა დაალალატა.

ამის შემდეგ მოედანზე სახიფათო მომენტების გვალვა ჩამოწვა და მოსაწყენი მატჩის ყურება გვიწევდა. მორიგი სახიფათო მომენტი მე-40 წუთზე შეიქმნა, როდესაც ჟირკოვი აქტიურობდა, მაგრამ მისი შორეული დარტყმის შემდეგ, ბურთი კარს აცდა.

ტაიმის დიდი ნაწილი რუსთა თვალსაჩინო უპირატესობით მიმდინარეობდა და თუ ვინმე გაიტანდა, ისინი უნდა ყოფილიყვნენ. კონტექსტიდან ამოვარდნილს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ბერძნებმა მოულოდნელად გოლი გაიტანეს. მსაჯის მიერ კონპენსირებულ მე-2 წუთზე ბერძენთა შეტევის მარჯვენა ფლანგზე, რუსებმა აუტი ძალიან ცუდად მოაწოდეს და ბურთი კარაგუნისს ჩააბარეს. საბერძნეთის ნაკრების კაპიტანი საჯარიმოში შეიჭრა და ძალიან ძლიერი დარტყმით მალაფეევს შანსი არ დაუტოვა 1:0. გოლმა ჯგუფში სიტუაცია არია – ნებისმიერ გოლს ორივე მატჩს შეეძლო სიტუაცია რადიკალურად შეეცვალა.

მე-2 ტაიმში, სახიფათოდ პირველად რუსებმა შეუტიეს, მაგრამ შიროკოვმა არაზუსტად დაარტყა. 57-ე წუთზე იგივე უკვე დენისოვმა გაიმეორა.

59-ე წუთზე განახორციელეს მარჯვენა ფლანგზე, ტოროსიდისმა ჟირკოვი გააბითურა, მაგრამ საჯარიმოში შესულმა მცველმა ცუდი პასი გააკეთა. ორ წუთში, კარგად მოთამაშე კარაგუნისი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, სადაც იგი იგნაშევიჩმა წააქცია. თერთმეტმეტრიანის დანიშვნის ნაცვლად, არბიტრმა კარაგუნისს სიმულიანტობა დააბრალა და მას ის ყვითელი ბარათი უჩვენა, რომელიც ბერძენთა კაპიტანს მეოთხედფინალურ მატჩს გამოატოვებინებს.

მიუხედავად იმისა, რომ გატანა რუსებს მართებდათ, უფრო სახიფათოდ მაინც ბერძნები უტევდნენ. 70-ე წუთზე, ცაველასის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, მალაფეევის მისი კარი გოლისგან ძელმა იხსნა.

რუსები მე-80 წუთის შემდეგ გააქტიურდნენ და, რომ იტყვიან ბერძნები საკუთარ საჯარიმოში გამოკეტეს. ადვოკაატის გუნდის შეტევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 83-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან არშავინის ჩაწოდება და ძაგოევის დარტყმა, მაგრამ რუსებს გატანა არ ეწერათ გუნდიც ნაადრევად გამოეთიშა ევროპირველობას.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – გიორგიოს კარაგუნისი

ბერძენთა კაპიტანმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი ნაკრები მეოთხედფინალში გასულიყო. მოედანზე დებდა ყველაფერს, რაც კი შეეძლო და ის ერთადერთი გამსვლელი გოლიც მის ანგარიშზეა.

### მატჩის შემდეგ:

**გიორგოს კარაგუნისი:**

– ეს სასწაულია. სრულიად საბერძნეთისთვის არაჩვეულებრივი საღამო იყო. ძალიან კარგ გუნდს ვეთამაშებოდით და გამარჯვებისთვის ცოტა იღბალიც გვჭირდებოდა და მივიღეთ კიდეც. მე-2 ტაიმში თერთმეტმეტრიანსაც ვიმსახურებდით, მაგრამ ამის ნაცვლად მსაჯმა ყვითელი ბარათი მაჩვენა, რის გამოც მეოთხედფინალს გამოვტოვებ. თუმცა, ეს ამბავი ახლანდელ ჩემს ბედნიერებას სულაც არ ახუნებს... ჩეხებთან წაგების შემდეგ, ვარშავაში დავბრუნდით და როცა პოლონეთთან რუსეთის ფრის ამბავი შევიტყვეთ, მივხვდით, რომ დიდი შანსი გაგვიჩნდა. ვიცოდით, ძალიან მძიმე თამაში გველოდა, მაგრამ მთელი სული და გული ჩავდეთ. ეს ჩვენი გუნდის ხასიათის გამოძახილია. როცა ათენიდან მოვფრინავდით, ვამბობდით, რომ ყველაფერს გავილებდით თანამემამულეთა გასახარებლად. საბერძნეთში ახლა ძალიან მძიმე ეკონომიკური სიტუაციაა და ჩვენ ადამიანებს ღიმილი ვაჩუქეთ. აი, ეს არის ყველაზე მთავარი.

### პოლონეთი _ ჩეხეთი 0:1

*1:0 ირაჩეკი (72)*

**პოლონეთი:** ტიტონი, ბენიში, ვასილევსკი, პერკისი, პიშჩეკი, დუდკა, პოლანსკი (გროსიცკი 56), ობრანიაკი (მეჟეევსკი 73), მურავსკი (ბროჟეკი 73), ბლაშიკოვსკი, ლევანდოვსკი

**ჩეხეთი:** ჩეხი, სელასი, კადლეცი, სივოკი, ლიმბერსკი, პილარჟი (რეზეკი 87), პლაშილი, ჰიუბშმანი, კოლარჟი, ირაჩეკი (რაიტორალი 84), ბაროში (პეკჰარტი 90)

პირველ ტურში რუსებთან 1:4 წაგების შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, რომ ჯგუფის გამარჯვებული ჩეხეთი გახდებოდა, ხოლო მათი მომგები რუსეთი სულაც ჯგუფში ჩარჩებოდა. თვით ამ მატჩის წინაც, სპეციალისტების დიდი ნაწილი უპირატესობას მასპინძლებს ანიჭებენ, რომელთაც მეოთხედფინალში გასასვლელად მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ.

3 ქულის მოსაპოვებლად ფრანციშეკ სმუდას შეგირდებმა თავიდანვე შეუტიეს და მალევე ჩეხი მცველების შეცდომის შედეგად, მეკარესთან თითქმის პირისპირ აღმოჩნდა პოლონელთა მთავარი მეგოლე რობერტ ლევანდოვსკი, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. რამდენიმე წუთში, ეუგენ პოლანსკიმ სცადა შორიდან გატანა, მაგრამ მანაც ააცილა. პეტერ ჩეხს საქმეში ჩართვა მას შემდეგ დასჭირდა, რაც შეტევაში ჩართულმა სებასტიან ბენიშმა შორიდან გაისროლა.

ჩეხებმა მეტოქის პირველი ტალღა გადაიტანეს და შეტევებისთვის თავადაც მოიცალეს. ანგარიშის გახსნა იაროსლავ პლაშილმა სცადა, მაგრამ მეკარემ ბურთი მოიგერია, ტაიმის მიწურულს, ვაცლავ პილაჟრმა დაარტყა, მაგრამ ტიტონი ამჯერადაც კარგად გაისარჯა.

მეორე ტაიმში, ჩეხები აშკარად უკეთესად გამოიყურებოდნენ და გოლამდე ბილეკის შეგირდებმა რამდენიმე მწვავე იერიში განავითარეს და პოლონელებს საშიში მესიჯი გაუგზავნეს. დავიდ ლიმბერსკიმ რამდენიმე მეტოქეს აუარა გვერდი და ძლიერადაც დაჰკრა, მაგრამ კარის ბადე მხოლოდ გარედან შეარხია, შემდეგ პოლონელები ტომაშ სივოკის თავურის შემდეგ გადაურჩნენ აშკარა გოლს, ხოლო მილან ბაროშს პშენისლავ ტიტონმა აუღო. 72-ე წუთზე კი, პოლონელები გოლს ვერ გადაურჩნენ – პეტრ ირაჩეკმა ბაროშისგან პასი მიიღო, ერთი მცველის ჩამოშორება არ გასჭირვებია და კარშიც ზუსტად დაარტყა – 1:0.

მსაჯის მიერ კომპენსირებულ უკანასკნელ წუთზე, პოლონელებმა მეტოქე კინაღამ ჯგუფში ჩატოვეს და გზას რუსებს უკაფავდნენ – იაკუბ ბლაშიკოვსკიმ თითქმის დაუცველ კარში დაარტყა, მაგრამ ერთ-ერთი ჩეხი მცველი ბურთს კარის ხაზთან დაუხვდა და თავით მოიგერია.

ჩეხები ბ ჯგუფის მეორეადგილოსანს ელოდებიან მეოთხედფინალში.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ვაცლავ პილარჟი

ზედიზედ მეორე მატჩია ჩეხეთის მონაწილეობით, როდესაც ამ ფეხბურთელს საუკეთესოდ ვასახელებთ. პილარჟი რუდებთან წაგებულ მატჩშიც კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ რა მის საუკეთესოდ დასახელბა მაშინ მართალი არ იქნებოდა. პილარჟმა მომდენო მატჩებში თავსატეხი გაუჩინა მეტოქეებს და პოლონელებიც ამაოდ ცდილობდნენ მის შეჩერებას.

### მატჩის შემდეგ

**მიხალ ბილეკი:**

– ცხადია, კმაყოფილები ვართ. მოგება გუნდთან, რომელიც შინ თამაშობს, ძალიან ძვირად ფასობს. მეორე და მესამე მატჩებში ჩემმა გუნდმა ფანტასტიკური ფეხბურთი ითამაშა. პოლონელებთან თავიდან ცოტა კი გაგვიჭირდა, მაგრამ მერე დავწყნარდით და მე-2 ტაიმში უკვე სრულად ვაკონტროლებდით სიტუაციას. რუსებთან პირველი მარცხის შემდეგ, ვინმე წარმოიდგენდა, რომ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებდით? მაგრამ ერთსულოვნებამ და გუნდურმა სულმა გადაგვარჩინა. წარმატების გასაღები მარტივია – ჩვენ ერთმანეთის გვჯერა! ბევრს გვაკრიტიკებდნენ, მაგრამ ამას მიჩვეული ვართ. მეოთხედფინალში გავედით და ახლა უკვე ბევრის მიღწევა შეგვიძლია.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| 2.საბერძნეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 3.რუსეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| 4.პოლონეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

# ამერიკასთან მოსაგებად მეორე ტაიმი არ კმარა

### აშშ _ საქართველო 36:20

**აშშ:** ქრის ვაილზი, ლუქ ჰიუმი, პოლ ემერიქი (ქოლინ ჰოლი 43), ენდრიუ სუნიულა, ჯეიმზ პატერსონი, როლანდ სუნიულა (ვილ ჰოულდერი 78), მაიქ პეტრი (შონ დევისი 78), შონ პითმენი, ქრის ბილერი (დერიქ ესბანი 72), ერიკ ფრაი (ტოლიფილი ლიუფაუ 75), ლუი სთენფილი, ბრაიან დოილი, ტეილორ მოკეიტი (ენდრიუ დურუთალო 48), სკოტ ლავალა, ტოდ კლეველი



**საქართველო:** ლაშა ხმალაძე, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა (ირაკლი ყიასაშვილი 52), მერაბ კვირიკაშვილი (ლაშა მალაღურაძე 45), ირაკლი აბუსერიძე (გიორგი ბეგაძე 72); მიხეილ ნარიაშვილი (ირაკლი მირცხულავა 72), რევაზ ბელქანია (შალვა მამუკაშვილი 58), დავით ზირაქაშვილი, ბექა ბიწაძე, ვახტანგ მაისურაძე (ზვიად მაისურაძე 41), გია ლაბაძე, გივი ბერიშვილი (გიორგი თხილაიშვილი 51), გიორგი ჩხაიძე

საქართველოს ნაკრებმა ამერიკული ტურნე მარცხით დაიწყო. მატჩი თამამად შეგვიძლია დავყოთ 2 ნაწილად – პირველი და მეორე ტაიმები. ის რაც პირველ ტაიმში ხდებოდა, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამერიკელი „არწივები" გვჯობდნენ ყველაფერში – დერეფანში, მოლში, შერკინებაში, ხოლო მათი ხაზი თავისუფლად ჭრიდა ჩვენსას და თითქმის ყველა შეტევა ჩვენს 22-იანში მთავრდებოდა. ყველაზე ცუდად კი ის გვენიშნა, რომ მათი უკანა ხაზელები „ბორჯღალოსნების" მიერ გადაკიდებული ნებისმიერ ბურთი, ისე თავისუფლად ამოჰქონდათ ნებისმიერ მანძილზე, რომ ჩვენი მორაგბეების თამაშის ყურება გვიჭირდა.

უკვე მე-3 წუთზე დავჯარიმდით და კრის ვაიზლმა ანგარიში გახსნა. მალევე ჩვენი ჩათვლის მოედანთან საკუთარი დერეფანი წავაგეთ, იქვე დავჯარიმდით და ვაიზლმა ამჯერად ააცილა. თუმცა, ლელოს დიდხანს არ დაუგვიანია და ენდრიუ სუნიულამ იოლად შეაღწია ჩვენი ჩათვლის მოედანში. ვაიზლმა ისევ ააცილა – 8:0.

ბურთი პირველად 19-ე წუთზე მოვიგდეთ ხელთ და მაშინვე მწვავედ შევუტიეთ მეტოქეს. მაჩხანელმა პასი თოდუას მისცა, რომელმაც კარგად ირბინა და თავის მხრივ ორიგინალური პასით შეტევა კვრიკაშვილს დაამთავრებინა, რომელმაც რეალიზაცია ვერ გამოიყენა – 8:5.

ჩვენი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა – ვაიზლმა იქვე ჯარიმით გაგვიტანა, ხოლო დაცვის ცუდი თამაშის შემდეგ ტეილორ მოკეიტმა ლელო და ანგარიში 18:5 გახდა. დარჩენილ დროში რასაც გამოვრჩით, მხოლოდ ერთი ჯარიმა იყო, რომელსაც მაიკ პეტრის ლელო და ვაიზლის რეალიზაცია და ჯარიმა მოჰყვა, რის შემდეგ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ანგარიში კატასტროფული გახდა – 28:8.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ბერიშვილი გაგვისინბეს და მეორე ტაიმის დასაწყისში მოედანზე ნაკლები ვიყავით. თუმცა, გუნდმა უფრო აგრესიულად დაიწყო თამაში როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. ერთია, მაინც დავჯარიმდით და ვაიზლა ასპროცენტიანი მომენტი გაანიავა. მალე ლელოს შანსი ჩვენც ქარს გავატანეთ, თუმცა მცდელობამ შედეგი გამოიღო და 54-ე წუთზე შარიქაძემ სხვაობა შეამცირა – 28:13.

ვაიზლმა ჯარიმით სხვაობა ოდნავ კი გაზარდა, მაგრამ ჩვენებმაც არ დაახანეს და რამდენიმეფაზიანი შეტევის შემდეგ კაჭარავამ ბურთი დაამიწა, კვირიკაშვილმა კი გარდასახა და მატჩის გადარჩენის იმედიც გაჩნდა – 31:20.

წინ კიდევ 18 წუთი იყო სათამაშო, ჩვენები დაცვას ყურადღებით თამაშობდნენ და მეტოქის ნახევრისკენაც მიუწევდათ გული, თუმცა 72-ე წუთზე მაისურაძე გაგვისინბინეს, რასაც მალევე მალაღურაძის უხეში შეცდომა და ჯეიმს პეტერსონის ლელო მოჰყვა – 36:20 და მატჩიც აქ მორჩა.

# 20-წლამდელთა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. დავით უსტიაშვილის გუნდს 12-22 ივლისს სლოვენიაში ევროპირველობის დივიზიონში მოუწევს თამაში. საქართველოს ნაკრები ც ჯგუფში მოხ-



ვდა, სადაც მისი მეტოქეები ესპანეთი, თურქეთი და ლატვია იქნებიან.

საქართველოს ნაკრებში სასელექციო მუშაობა ზამთრის შემდეგ მიმდინარეობდა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მთავარმა მწვრთნელმა 14 კალათბურთელი შეარჩია, რომლებიც ჯერ ფიზიკურად ემზადებოდნენ, ხოლო 11 ივნისიდან აკადემიის დარბაზში შეკრებას გადიან. საბოლოოდ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი 12 კალათბურთელი შეირჩევა.

20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატამდე 4 საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. თბილისში ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებს 26 და 27 ივნისს გაეჯიბრება, ხოლო 5 და 6 ივლისს ესტონეთში ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან ჩაატარებს საკონტროლო მატჩებს.

20-წლამდელთა ნაკრებმა დღეს საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ღია ვარჯიში ჩაატარა.

აი, რა განუცხადა დავით უსტიაშვილმა ჟურნალისტებს:

***– 20 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის სრული შემადგენლობით ემზადებით?***

– აშშ-ს ერთ-ერთი კოლეჯის გუნდის წევრს, პერიმეტრის მოთამაშე კოღუაშვილს წელის ტრავმა აქვს და ნაკრებში მოხვედრის შანსი დაკარგა. ცოტა ხნის წინ შემოგვიერთდა ფხაკაძე. თბილისშია ბურჯანაძე, რომელიც დღეს საღამოს ვარჯიშზე შემოგვიერთდება.

***– შარშანდელი შემადგენლობიდან თუ დარჩა ვინმე გუნდში?***

– ძველი შემადგენლობიდან, რომელმაც ა დივიზიონში თამაშის უფლება მოგვაპოვებინა, სამი კალათბურთელი: სანაძე, ბოქოლიშვილი და თენიეშვილი თამაშობენ. დანარჩენები გუნდში ასაკის გამო ვერ მოხვდნენ.

***– როგორ აფასებთ ჩვენი გუნდის პირველ სამეულში მოხვედრას და ჯგუფიდან გასვლის შანსს?***

– ესპანეთი ც ჯგუფის გამოკვეთილი ლიდერია, დანარჩენ გუნდებს II-III ადგილზე გასვლის თანაბარი შანსი აქვთ.

***– საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების ყველაზე დიდი პრობლემა რაში მდგომარეობს?***

– ფარზე ბურთისთვის ბრძოლა გაგვიჭირდება, რადგან ტანმაღალი კალათბურთელების სიმცირეს განვიცდით.

უსტიაშვილის რჩეული 14 კალათბურთელის სია კი ასეთია:

უკანა ხაზი: რეზო როგავა (სოხუმი), გიორგი ტეტელაშვილი (სტუ), დუდა სანაძე (დინამო), მერაბ ბოქოლიშვილი (შსს აკადემია), ოთარ ფხაკაძე (ლიბერთი-ქრისტეან, აშშ)

ფორვარდები: საბა ლობჟანიძე (სტუ), ნოდარ თენიეშვილი (შსს აკადემია), კახა ჭინჭარაძე (თსსუ), ლევან ელიაძე (ბათუმი), ზურა მაჩალაძე (სტუ), ბექა ბურჯანაძე (კახასოლი, ესპანეთი)

ცენტრები: გოგა ჯავახიშვილი (სტუ), ირაკლი ალხანაიძე (დინამო), ავთო ლომინაშვილი, (ქუთაისი)

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

### ფეხბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-რუსეთი | 1:0 |
| პოლონეთი-ჩეხეთი | 0:1 |

#### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ალკორკონი | 1:1 |

#### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

| | |
|---|---|
| ტპს-იარო | 2:3 |
| ჰაკა-ვაასა | 0:1 |
| ჰონკა-ინტერი | 2:1 |
| ჯჯკ-ჰიკი | 0:3 |

#### აშშ. მლს

| | |
|---|---|
| ვანკუვერი-კოლორადო | 1:0 |
| ფილადელფია-დ.ს.იუნაიტედი | 0:1 |
| მონრეალი-სიეტლი | 4:1 |
| ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი | 0:0 |
| ჰიუსტონი-დალასი | 2:1 |
| კანზასი-ტორონტო | 2:0 |
| ჩივასი-სოლტ ლეიკი | 0:3 |

#### ბრაზილია. სერია ა

| | |
|---|---|
| ინტერნასიონალი-ბოტაფოგო | 1:2 |
| კრუზეირო-ფიგეირენსე | 1:0 |
| ფლუმინენსე-პორტუგეზა | 4:1 |

#### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბელგრანო-ბანფილდი | 3:1 |
| ესტუდიანტესი-ოლიმპო | 1:0 |
| ველეჟი-ტიგრე | 0:1 |

### კალათბურთი

#### ეჩ-2013. საკვალიფიკაციო ეტაპი ქალები

| | |
|---|---|
| სლოვენია-ლიტვა | 79:68 |
| შვედეთი-ესპანეთი | 78:69 |
| შვეიცარია-ჩერნოგორია | 67:82 |
| საბერძნეთი-ფინეთი | 72:49 |
| პოლონეთი-ესტონეთი | 77:52 |
| სლოვაკეთი-ბელგია | 64:49 |
| პორტუგალია-ბელარუსი | 53:82 |
| გერმანია-რუმინეთი | 70:60 |
| ლუქსემბურგი-ლატვია | 60:95 |
| ისრაელი-უკრაინა | 73:58 |

#### ამხანაგური მატჩები ქალები

| | |
|---|---|
| ხორვატია-ჩეხეთი | 69:77 |
| საფრანგეთი-კანადა | 66:41 |

### ჩოგბურთი

#### ატპ. ჰალე. ბალახი

| | |
|---|---|
| ფედერერი-იუჟნი | 6:1;6:4 |
| კოლშრაიბერი-ჰაასი | 6:7;5:7 |

#### ატპ. ლონდონი. ბალახი

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-კიურეი | 6:3;3:6;6:3 |
| ნალბანდიანი-დიმიტროვი | 6:4;6:4 |
| ვტა. ბირმინგემი. | ბალახი |
| ვინჩიჩუენი | 3:6;7:5;4:6 |
| მაკაროვა-სე შუვეი | 3:6;6:3;6:3 |

# თბილისში მუზეუმი-სასტუმრო გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

18 ივნისს თბილისში პირველად უნიკალური კონცეფციის მუზეუმი-სასტუმრო „ციტადელ ნარიყალა“ გაიხსნება, რომელიც ბუტიკის ტიპის ექსკლუზიური სასტუმროა. მუზეუმი-სასტუმროს გახსნამდე „ციტადელ ნარიყალა“ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა მაია სიდამონიძემ მოინახულა და ტურისტული კომპანიის წარმომადგენლებს ინფოტურით გაუმასპინძლდა.

როგორც შეხვედრაზე ინფოტურის მსვლელობისას ითქვა, პირველი მუზეუმი-სასტუმრო თბილისში ივნისის შუა რიცხვებში გაიხსნება და ეს იქნება უნიკალური კონცეფციის სასტუმრო, ექსკლუზიური დიზაინით, რომელიც თავის თავში მოიცავს უძველეს საათფთიაქო მუზეუმს და იგი სასტუმროს საძირკველში აღმოჩენილი სამკურნალო ჭურჭლისგან არის შექმნილი.



მაია სიდამონიძე

— უნიკალური კონცეფციის სასტუმროს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში არა აქვს ანალოგი. სასტუმრო ციტადელი არის ექსკლუზიური 16– ნომრიანი სასტუმრო ქალაქის ძველი უბნის, ნარიყალას ყველაზე მაღალ წერტილში, საიდანაც მთელი ქალაქის პანორამული ხედი იშლება. სასტუმროს ადგილას წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასტუმროს მენეჯმენტის მიერ დაფინანსებული არქეოლოგიური კვლევა. კვლევის დახურვის შედეგად აღმოჩნდა სამედიცინო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ჭურჭელი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნით თარიღდება. ოთხსართულიანი სასტუმროს პირველ სართულზე, ისტორიული მნიშვნელობის კლდის ქვეშ, მოეწყობა მუზეუმი, სადაც გამოფენილი იქნება ის ჭურჭელი, რომელიც არქეოლოგებმა კვლევის შედეგად აღმოაჩინეს. საქართველოს ისტორიის საინტერესო ფაქტების პროექცია სასტუმროს ლობში თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებით მოხდება. ამ ტიპის ინსტალაცია განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენს მნახველზე და საქართველოში ჩამომსვლელ ტურისტებზე. სასტუმრო ციტადელი მეიდნიდან ერთი წუთის სავალზე და თბილისის ყველაზე ცნობილ საფეხმავლო, ნარიყალას მარშრუტის დასაწყისში მდებარეობს. ეს სასტუმრო გათვლილია როგორც ტურისტული ვიზიტებისათვის, ასევე საქმიანი შეხვედრებისათვის და სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩასატარებლად. ამ სასტუმროში არის 50 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი, ასევე ორი რესტორანი, ღია ბარი და სავარჯიშო დარბაზი, — განაცხადა პროექტის კურატორმა თეონა ბაღდავაძემ.

მისი თქმით, სასტუმროს ერთ-ერთ ღირსებას საქართველოში წარმოადგენს პირველი რესტორანი, სადაც არ ეწევიან.

— სასტუმროს აშენებისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა უმაღლესი ხარისხის სერვისის, განსაკუთრებული კომფორტისა და ძველი თბილისის ცხოვრების სტილის ფიუჟენზე. სასტუმრო არის მორგებული რელიეფს, შესაბამისად, 16-ვე ნომერს აქვს ძველი თბილისის ხედი და ძველ ქართულ სტილში გადაწყვეტილი აივანი. სასტუმროსა და რესტორნის სტუმრები დატკბებიან ქალაქური სამზარეულოთი და დააგემოვნებენ ეკოლოგიურად სუფთა ქართულ ღვინოსა და სამზარეულოს სასტუმროს ტერასაზე.

სასტუმრო მომხმარებელს სხვადასხვა ტიპის ნომრებს სთავაზობს, მაგალითად, სასტუმროს ყველაზე ლამაზი ხედის მქონე ნომერი იმ წყვილებისათვის არის განკუთვნილი, რომლებიც თბილისს ირჩევენ რომანტიკული მოგზაურობისთვის.

სასტუმრო ციტადელი ქართულ-ევროპული ინვესტიციის შედეგად აშენდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მშენებლობისას და მართვისას გამოყენებული იქნება „ა“ კლასის სასტუმროების სტანდარტები, სასტუმროს სტრატეგიაა, აითვისოს ტურისტული მიმართულებების ყველაზე საინტერესო, ბუტიკის ტიპის სასტუმროების ნიშა. სასტუმროს დასრულება 2012 წლის ივნისში იგეგმება. მისი საინვესტიციო ღირებულება კი რამდენიმე მილიონი ევროა, — განმარტა თეონა ბაღდავაძემ.

# დავით დეფი ეროვნულ არქივთან ითანამშრომლებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ინტერვიუ ნიუ იორკში, მსოფლიო პენცენტრში ჩაიწერა, სადაც დეფი 2011 წელს სალმან რუშდის მიერ იქნა მიწვეული და მსოფლიო პოეზიის ანტერბერგის ცენტრში, ლორი ანდერსონთან ერთად პოეზიის წარმოდგენა გამართა. ასევე გაიმართა მისი რომანების გარჩევა და ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება. დავით დეფი 2012 წლის ევროპის საუკეთესო ნაწარმოების ავტორია.

ამ ლიტერატურულ ვებჟურნალს წელიწადში ათი მილიონი მნახველი ჰყავს, ხოლო დეფთან ინტერვიუ ჩაწერეს ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტებმა კიმბერლი ნაგიმ და ჯოი სტოქმა, რომლებიც ასევე თანამშრომლობენ ორჰან ფამუკთან, იაკაბ ლასლო ორსოსთან, სალმან რუშდისთან, ამელი ნოთომთან და ბევრ ცნობილ მწერალთან თუ პოეტთან. ყველას ინტერვიუ ასევე ამ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

დავით დეფისთან აღებულ ინტერვიუში საუბარია დეფის მსოფლიო წარმატებაზე, მის პოეზიასა და პროზაზე, საბჭოეთისა და შევარდნაძის რეჟიმის კრახზე, ვარდების რევოლუციაზე, თანამედროვე ლიტერატურის ტენდენციებზე და უკვე საკმაოდ პოზიტიურადაა შეფასებული ქართველი პოეტისა და რომანისტის მთლიანი შემოქმედება, ამიტომაც ეროვნული არქივისთვის დეფისთან თანამშრომლობა საკმაოდ დიდი პატივია, ისევე, როგორც თავად პოეტისა და მწერლისთვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში უნგრეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავის აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიებაც გაიმართა. ეროვნული არქივისა და საქართველოში უნგრეთის საელჩოს ორგანიზებული ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო გამოფენა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა — საქართველოში მოღვაწე უნგრელი დიპლომატების, ილდიკო და ანდრაშ ჰალასების ფოტოები: „საქართველო — როგორ ვხედავდით მას 2008-2012 წლებში“ და საქართველო-უნგრეთის დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი ფოტოები და დოკუმენტები, რომლებიც დაცულია ეროვნულ არქივსა და უნგრეთის საინფორმაციო სააგენტოში.

ღონისძიება ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნა. საქართველოსა და უნგრეთის ურთიერთობებზე მისასალმებელ სიტყვაში საქართველოში უნგრეთის ელჩმა შანდორ საბომ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძემ ისაუბრეს.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი ექსპოზიცია ეროვნული არქივის საგამოფენო სივრცეში ერთი კვირით დარჩება.

# ბაგრატის ტაძარს იუნესკოს სიიდან ამოიღებენ?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

— მინდა დავეთანხმო იმ კრიტიკოსებს, რომლებიც აკრიტიკებენ ამ რესტავრაციას და აღვნიშნო, რომ ბევრი რამ არასწორად არის გაკეთებული. ეს არის მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ძეგლი, უდიდესი კულტურული ნიმუში და ასე უბრალოდ არ უნდა მოვკიდოთ ხელი. საპატრიარქოს წარმომადგენლები შეხვდებიან იუნესკოს წარმომადგენლებს, ასევე შედგება შეხვედრა იმ სპეციალურ კომისიასთან, რომელიც მუდმივად მოქმედებს საპატრიარქოში. ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე დღეიდან უნდა შეწყდეს სამუშაოები, სანამ არ იქნება გარკვეული ყოველი დეტალი. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ბაგრატის ტაძარი ამოღებული იყოს იუნესკოს ყურადღებიდან. იმედი მაქვს, რომ მივიღებთ ისეთ ტაძარს, როგორიც საჭიროა ჩვენთვის, — განაცხადა მისმა უწმინდესობამ.

შეაჩერებს თუ არა საქართველოს მთავრობა ბაგრატის ტაძარზე თვითნებურად განახლებულ სარეაბილიტაციო პროცესებს, ჩართავს თუ არა საქართველოს საპატრიარქოს აღდგენით სამუშაოებში და რა გადაწყვეტილებას მიიღებს იუნესკო ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით, ეს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

# ვაშინგტონი ლავროვის ბრალდებას უარყოფს




აშშ-მა სირიელი მეამბოხეების შეიარაღებაზე სერგეი ლავროვის ბრალდება უარყო, — იუწყება „ფრანსპრესი“. წყაროს ცნობით, ლაპარაკია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის იმ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, სირიელ მეამბოხეებს აშშ იარაღს აწვდის. ეს განცხადება თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ უარყო. მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ს პოზიცია არ შეუცვლია და სირიელ მეამბოხეებს შეიარაღებას არ აწვდის.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადება ასევე უარყო სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა. გარდა ამისა, მან რუსეთს დამასკოსათვის იარაღის მიწოდების შეწყვეტისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

სერგეი ლავროვმა ზემოთ ხსენებული განცხადება 13 ივნისს ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში გააკეთა. მან ამით ჰილარი კლინტონს უპასუხა, რომელმაც რუსეთის ხელისუფლება სირიის ხელისუფლებისათვის სამხედრო ვერტმფრენების მიწოდებაში დაადანაშაულა, რაც, მისი თქმით, შიდა კონფლიქტის ესკალაციას უწყობს ხელს.

როგორც ლავროვმა აღნიშნა, რუსეთი სირიას მხოლოდ საჰაერო თავდაცვის საწინააღმდეგო სისტემის ელემენტებს აწვდის, რომელთა გამოყენებაც საგარეო აგრესიის აღსაკვეთად შეიძლება. ლავროვი ირწმუნება, რომ ეს ქმედება საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ არღვევს.

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი რუსეთს აფრთხილებს, რომ თუ სირიასთან მიმართებაში პოლიტიკას არ შეცვლის, ახლო აღმოსავლეთზე კონტროლს დაკარგავს; ხოლო ოფიციალური მოსკოვისა და ვაშინგტონის პოზიციები კი სირიასთან დაკავშირებით, ერთმანეთისგან განსხვავდება.

— ეს არ არის ერთადერთი საკითხი, როდესაც ჩვენი პოზიციები იყოფა,თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია ადამიანების ყოველდღიურ მკვლელობებზე და ძალადობის ესკალაციაზე სირიაში, — აცხადებს ამერიკის სახელმწიფო მდივანი.

მსოფლიო საზოგადოება აქტიურად ცდილობს რუსეთზე ზეწოლა მოახდინოს, რათა მან სირიასთან დაკავშირებით უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავოს.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, საფრანგეთი აპირებს გაეროს უშიშროების საბჭოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმის შედგენასთან დაკავშირებით მიმართოს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და ძალის გამოყენებას მხარს არ დაუჭერს. მსგავსი პოზიცია აქვს უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივ წევრს, ჩინეთსაც.

ლავროვმა გაეროს წესდების მე-7 მუხლის ამოქმედება გამორიცხა, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების განსახორციელებლად ძალის გამოყენების უფლებას იძლევა. ლავროვის სიტყვებით, რუსეთი აუცილებლად მიიღებს მხედველობაში გაეროს ჩარევის შემდეგ ლიბიაში განვითარებულ მოვლენებს.

— სირიის არმია სისტემატურად ხოცავს მშვიდობიან მოსახლეობას, — ეს განცხადება საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „ემნისტი ინტერნეიშენალმა“ გუშინ გაავრცელა.

— სამთავრობო არმია ქალაქებსა და სოფლებში ორგანიზებულ თავდასხმებს ახორციელებს და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულს სჩადის, — აღნიშნულია განცხადებაში.

უფლებადამცველი ჯგუფი გაეროს უშიშროების საბჭოს მოუწოდებს სირიასთან დაკავშირებით საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოს მიმართოს და ქვეყანასთან იარაღით ვაჭრობაზე ემბარგო დააწესოს.

70-გვერდიან მოხსენებაში საუბარია, რომ ქვეყანაში 15-თვიანი დაპირისპირება სამოქალაქო ომს უახლოვდება.

ორგანიზაციის წევრებმა 23 ქალაქი და სოფელი მოინახულეს და ისე შეადგინეს მოხსენება. ჩაწერეს ორასზე მეტი ადამიანი, მათ შორის გარდაცვლილთა ნათესავები.

შეგახსენებთ, რომ სირიის ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეიარაღებული დაპირისპირება 2011 წლის მარტიდან დღემდე გრძელდება. გაეროს მონაცემებით, მას უკვე 10 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

# სკანვორდი



1. იალქანი; 2. ქალთა ცეკვა; 3. მთავარი სისხლძარღვი; 4. კინოკამერის სამაგრი; 5. ქალაქი თურქეთში; 6. „თავისუფალი ...“; 7. სამკელი იარაღი; 8. ვერცხლისფერი ჭედადი ლითონი; 9. თაღი; 10. მოახლე; 11. აიზეკ ...; 12. ფულისა და ნივთების გათამაშება ბილეთებით; 13. დონ ... დე ბაზანი; 14. ეკლესიიდან განდევნა; 15. მთათა მასივი სომხეთში; 16. კურკოვანი ხილი; 17. ახლო ნათესავი; 18. ნუშის ლიქიორი; 19. ამერიკული კინოფანტასტიკა; 20. თხელი, ქადურა ქსოვილი; 21. პარკოსანი მცენარე; 22. მოხულიგნო ტიპი; 23. საგანგებო დავალება; 24. ერითროციტების ცილოვანი ფუძე; 25. მაუგლის მეგობარი გველი; 26. ... ფილიპი; 27. ესპანური სანახაობა ხარების მონაწილეობით; 28. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები; 29. ესპერანტოს ვარიანტი; 30. კავშირი (გრამატ.); 31. ენიო ... (კომპოზიტორი).

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დულცინეა; 2. მახრა; 3. კვარიათი; 4. მახვში; 7. ოტიტი; 9. პროზა; 12. კრაკოვიაკი; 14. ციცარი; 15. ბულვარი; 17. კონფუცი; 20. აბული.

**თარაზულად:** 5. „მუკუზანი“; 6. ბავარია; 8. კორბეტი; 10. ტიტიკაკა; 11. ჰედერი; 13. ბაიკერი; 16. ჯანელიძე; 18. ჰობოი; 19. ალალი; 21. „იბერია“; 22. „არსენალი“; 23. ქურციკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „სპირალი“; 2. უილიამსი; 3. სიროკო; 4. „სიმდი“; 5. ჯაბახანა; 8. მატადორი; 12. რადა; 13. ლუიზიანა; 14. კლიპსი; 16. დადიანი; 18. ბრუტო; 20. ვაკე.

**თარაზულად**: 6. აპატრიდი; 7. გლიპტიკა; 8. „მიმინო“; 9. ქააბა; 10. ემბრიონი; 11. ვიბრაცია; 15. „მუჯურეთული“; 17. ჰავანა; 19. სალვადორი; 21. ტარაბუა; 22. პარანომია; 23. „ბერსეზი“.

# მიხეილ სააკაშვილი ყოველ საღამოს ბათუმის რესტორნებში დადის

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ემსახურე საქართველოს“ ლიდერ მურმან დუმბაძესთან

***— ბატონო მურმან, როგორ მიმდინარეობს „ქართული ოცნების“ ლიდერის შეხვედრები აჭარაში?***

— ეს შეხვედრები გუშინ დაიწყო დილით და, პრაქტიკულად, გვიან, საღამოს დამთავრდა. ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა დაახლოებით ათამდე შეხვედრა. იყო ხულოს რაიონის რამდენიმე თემში. ეს არ გახლდათ ძალიან ორგანიზებული შეხვედრები, წინასწარ დაგეგმილი. ბატონ ბიძინას უფრო მოსახლეობასთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტი აინტერესებდა. ის შევიდა რამდენიმე სოფელში, საკრებულოს ცენტრებში. ბიძინა ივანიშვილი ეწვია დიოკნისის თემის მეჩეთს. შემდეგ ის იყო სხალთის ხეობაში. იქ მოინახულა მე-12 საუკუნის ტაძარი, რომელიც სხალთის მონასრტის სახელითაა ცნობილი. ბიძინა ივანიშვილი შეხვდა შუახევის რაიონის შტაბის თანამშრომლებს. შემდეგ იყო ქედის რაიონის რამდენიმე სოფელში.

***— შეხვედრებს თან პატარ-პატარა ინციდენტები ახლდა, ანუ ხელისუფლებამ თავისი ხალხი მოგიგზავნათ?***

— ინციდენტის შესახებ არსებული ინფორმაცია, რომელიც მედიასაშუალებებით გავრცელდა, ცოტა გადაჭარბებულია. ამას ინციდენტს ვერ დავარქმევ. პროვოკაციების მცდელობა იყო. საერთოდ, არ ვარ წინააღმდეგი შეხვედრის მონაწილეთა შორის განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ. ხულოს რაიონში, მაგალითად, ორი ადამიანი აღმოჩნდა ასეთი, რომელიც აფიქსირებდა თავის პოზიციას სააკაშვილის ხელისუფლების სასარგებლოდ. მათგან ერთი იყო ქალბატონი, რომელიც ხულოს მუნიციპალური საკრებულოს წევრია და ამავე დროს არის განათლების კომისიის თავმჯდომარე. ის არის სკოლის პედაგოგი. მეორე ადამიანი იყო სკოლის დირექტორი. მესამე გახლდათ მოგზავნილი ადამიანი, ნასვამ მდგომარეობაში, რომელმაც ძალიან მალე მოიკრიბა გონება და ბიძინა ივანიშვილს ბოდიშიც კი მოუხადა. ბატონი ბიძინა ივანიშვილი მშვენივრად პასუხობდა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს. პროვოკაციის მცდელობა იმაში გამოიხატა, რომ ცდილობდნენ მათ მეტი ელაპარაკათ და მოსახლეობას ნაკლები შეკითხვა დაესვა.

***— ქედა ჩემი მშობლიური რაიონია, მასზე გული შემტკივა და, ზოგადად, ცოტა არასტუმართმოყვარული ხომ არ იყო შეხვედრაზე მოსული ნაციონალი ბიჭების მოქცევა?***

— არა, არასტუმართმოყვარეობას ვერ დავარქმევდი. თქვენ იცით ქედის რაიონის სოფელი ზესოფელი, სადაც არის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. ეს სოფელი ქედიდან 3 კილომეტრშია. დაახლოებით 40-50-მდე ოჯახი ცხოვრობს და 200 ადამიანი იყო შეხვედრაზე მოსული. ეს იმას ნიშნავს, სახლში არც ერთი ადამიანი არ დარჩენილა, ყველა მოვიდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე. მშვენივრად ჩატარდა ეს შეხვედრა, შემდეგ შეხვედრამ გადმოინაცვლა მახუნცეთის თემში. მახუნცეთში მართლაც იყო პროვოკაციის მცდელობა, მაგრამ ისინი არ იყვნენ მახუნცეთელები. 7-8 ბიჭი იყო მოყვანილი ხელისუფლების წარმომადგენლები. თითოეული მათგანი საბიუჯეტო ორგანიზაციაში მუშაობს. ისინი არიან გამგეობის წევრები. თითოეული მათგანის გვარი და სახელი ვიცით. არ არიან ცუდი ოჯახის წევრები. თითოეულ ოჯახს ჩვენ კარგად ვიცნობთ, თითოეული დეტალურადაა გაშიფრული. ერთმა პირადად ჩემთან საუბარში აღიარა, რომ ის შეცდა. უბრალოდ, გამგეობამ დაავალა. იძახდნენ: „მიშა, მიშას“, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა მათ სთხოვა, იქნებ ახლოს მოსულიყვნენ და მასთან ეყვირათ, „მიშა მიშა“, მაგრამ ვერ გაბედეს. ეს არის ხელისუფლების ბოლო გაფრთხალება. ბავშვები შეაცდინეს. დარწმუნებული ვარ, ეს არის ბოლო ინციდენტი. მე მას ინციდენტსაც ვერ დავარქმევ. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი, მაგრამ ღირსებასა და უღირსობას შორის საზღვარი უნდა გაივლოს. იქ ისევ მოქალაქეებმა აღკვეთეს. დადასტურებით შემიძლია გითხრათ, რომ კარგი შეხვედრა იყო მახუნცეთში. იმ პროვოკაციის



მომწყობი ადამიანები 7-8 ბიჭი, მოყვანილი იყვნენ სოფელ წონიარისიდან და ქედის რაიონული ცენტრიდან ხელისუფლების მიერ. დასაქმებულ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობს ქედის რაიონის გამგეობაში. ასე რომ, ხელისუფლების მცდელობა, ბიძინა ივანიშვილი ვერ გადაადგილდეს საკუთარ ტერიტორიაზე, ეს არ მოხდება და ვერ მოხდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ასეთი 7 ადამიანით სააკაშვილი ფონს ვერ გავა, ის ძალიან მკაცრად დამარცხდება. ნაციონალები ისე დამარცხდებიან, რომ ბარიერის პრობლემაც კი შეექმნებათ. ძალიან კმაყოფილი ვართ. რაც ყველაზე მთავარია, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ძალიან კმაყოფილი დარჩა აჭარის სოფლების მონახულებით. ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა. ის აპირებს კვლავ დიდი შეხვედრები გამართოს, როგორც მთის ზონაშო, ასევე ბარში.

***— სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა, ქედის რაიონის გამგებელმა ჟურნალისტს უხეშად რომ უპასუხა.***

— ის ბიჭები, რომლებიც მთელი მონდომებით „მიშა, მიშას“ სკანდირებდნენ, ქედის რაიონის გამგებლის. ირაკლი ბარამიძის ძალიან დაახლოებული პირები არიან (მინდა ეს გვარი შავით თეთრზე დაწეროთ), უახლოესი მეზობლები და მეგობრები არიან. მე ქედის რაიონს კარგად ვიცნობ. ის ბიჭები. არ არიან ცუდი ბიჭები, მთავრობამ შეაცდინა.

***— მომავალში რა გეგმები გაქვთ?***

— ჩვენ ვაპირებთ დიდი შეხვედრის მოწყობას. ეს უფრო სპონტანური, არაორგანიზებული შეხვედრა იყო, მაგრამ საკმაოდ დიდი რაოდენობა ხალხისა ბიძინა ივანიშვილს ხვდებოდა. სადაც იგებდნენ, ბატონი ბიძინა უნდა მობრძანდესო, მთელი სოფელი გამოდიოდა. ძალიან გულთბილი და სტუმართმოყვარე შეხვედრები მოგვიწყვეს. მინდა ჟურნალისტებმა ეს უფრო სწორად გაიაზროთ. 7 კაცი არ არის ქედის რაიონი. მათგან ერთმა პირადად ბოდიში მომიხადა, რომ ის მონაწილეობდა ამ უაზრობაში. ჩვენ გვაქვს საკმაო რესურსი იმისათვის, რომ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონში არა მხოლოდ შეხვედრებსა და მიტინგებზე მოვიგოთ, არამედ — 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც. ჩვენ დავასახელებთ საუკეთესო მაჟორიტარებს და აჭარის მთელ რეგიონში ოქტომბერში ნაციონალურ მოძრაობას არჩევნებში მოვუგებთ.

***— ზემო აჭარაში ვინ სახელდებიან მაჟორიტარებად?***

— გვარების დასახელება არ შეგვიძლია. შიდა კონკურენციაა, რაც ძალიან კარგია. ეს საკითხი უახლოეს დღეებსა და კვირებში გადაწყდება. ბატონ ბიძინას გადაწყვეტილებით, პრაქტიკულად, ივნისის ბოლომდე მაჟორიტარები ყველა ოლქში დასახელდება.

***— ბათუმში როგორი ვითარებაა?***

— უნდა გითხრათ, რომ თბილისისა და ქუთაისის შემდეგ, აქციის ჩატარება იგეგმება ბათუმშიც, აჭარის რეგიონის ამდაგვარი ხალხმრავალი შეკრება მოხდება. ამისთვის ივნისი ძალიან ადრეა. სექტემბერი და ოქტომბერი კი — გვიან. ამიტომ აგვისტოს თვეში გადაწყვეტილებას მიიღებს პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო და ხალხმრავალი მიტინგი ბათუმში აუცილებლად ჩავატარებთ.

***— ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა ამ პერიოდში აჭარაში რით განისაზღვრება?***

— ნაციონალების ძალიან დიდ აქტიურობას ამ თვალსაზრისით ვერ ვხედავ. უბრალოდ, ვხედავ, რომ მიხეილ სააკაშვილი ყოველ საღამოს ბათუმის რესტორნებში დადის. პრაქტიკულად, ძველი ბათუმის ქუჩები მთლიანად გადაკეტილია. რამდენიმე კილომეტრის მოვლა დამჭირდა, რომ ჩემი საკუთარი მანქანა გამომეყვანა ლაბირინთებიდან და სახლში მოვსულიყავი.

***— ე.ი. სააკაშვილი ახლა (15 ივნისს — გ.ბ) ბათუმშია?***

— დიახ. რამდენიმე წუთის წინ პირადად მე ვნახე, რომ ბათუმშია.

***— ქუჩაში გადაგეყარათ?***

— დიახ, მთელი ქუჩები გადაკეთილი ჰქონდათ. სააკაშვილი რამდენიმე წუთის წინ პიაცას ტერიტორიაზე იყო.

***— ალბათ, იცით, ძალიან დიდ რეკლამას უკეთებენ ბათუმს სი ენ ენი-თ. რეალურად როგორი მდგომარეობაა?***

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ უცხოური მედიასაშუალებები დაინტერესებული არიან ქალაქ ბათუმით და მას რეკლამირებას უკეთებენ. პირიქით, მოხარული ვარ, მაგრამ მას არავითარი კავშირი არ აქვს ხელისუფლების გაკეთებულ განცხადებებთან და კამპანიებთან. ბათუმი იყო ბრწყინვალე ევროპული ქალაქი, არის ევროპული ქალაქი და მომავალიც ევროპულ ქალაქად დარჩება საქართველოს შავიზღვისპირეთში.

განსაკუთრებით მადლიერი ვარ გუშინდელი შეხვედრებისა. უამრავი ადამიანი მოვიდა შეხვედრებზე. ყველაზე მეტი შეხვედრები ხულოში გვქონდა. განსაკუთრებით დაიმსხვრა მითი, თითქოს მუსლიმანური ნაწილი ქართველობისა, სხვანაირად უყურებდა ბიძინა ივანიშვილის ქართულ ოცნებას. ჩვენ დიოკნისის მეჩეთშიც შევედით. მეჩეთის ხელმძღვანელმა, იმამმა გვითხრა, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს სამშობლოს. რომ გამოგვაცილა, გვითხრა, „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“. მეც მიმაჩნია, რომ ქართველისთვის სამშობლო უპირველესია.

***— რა აინტერესებდა მოსახლეობას?***

— მოსახლეობა საკმარისად ინფორმირებულია. ისინი „თეფშების“ საშუალებით უყურებენ სხვადასხვა ტელეარხებს. საკმაოდ საინტერესო შეკითხვები დაისვა, დაწყებული სოფლის მეურნეობიდან, დამთავრებული განათლებით, ჯანდაცვის სისტემით. საგარეო ვექტორებზეც კი იყო დასმული შეკითხვები. მოგეხსენებათ, მოსახლეობას აინტერესებს პოლიტიკური საკითხები და, რაც ყველაზე მთავარია, ყველა მათგანი ამბობს, რომ საპარლამენტო არჩევნებში ისინი მონაწილეობას მიიღებენ,

***— მათი პოლიტიკური ვექტორი საით იხრება?***

— პოლიტიკური ვექტორი „ქართულ ოცნებას“ განსაზღვრული აქვს. ეს არის ევროსტრუქტურები, დაბალანსებული პოლიტიკა, სამეზობლო ურთიერთობების დალაგება. ეს არის ის, რაც საქართველოს მომავალს უქმნის პერსპექტივას. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არც ერთ სახელმწიფოსთან კომფრონტაციაში არ უნდა შევიდეთ. და კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველასთან უნდა დავამყაროთ. ჩვენ უნდა ვიყოთ პრინციპულები ჩვენს მეზობლებთან, მაგრამ ამავე დროს საუკეთესო მეზობლები. ისეთი ურთიერთობები უნდა ჩამოვაყალიბოთ, როგორც ორ მეზობელ სახელმწიფოს შეეფერება. საქართველოს ამის შესაძლებლობა აქვს და ივანიშვილი ამას მშვენივრად მოახერხებს.

***— თუ გავიხსენებთ ოშკთან და აზიზიეს მეჩეთის აშენების მცდელობასთან დაკავშირებულ ამბებს, ხელისუფლებას საზოგადოებისაგან აშკარად განსხვავებული პოზიცია აქვს. ვაჩეიშვილმა განაცხადა, ოშკი ქართული საზოგადოების პასუხისმგებლობააო. ხოლო აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით ბოკერიამ თქვა, მეჩეთის აშენების მოწინააღმდეგეები ერთსართულიან ხის შენობას გვიზომავენო, ანუ მისთვის აზიზიეს მეჩეთი მხოლოდ ერთსართულიანი ხის შენობაა. შეხვედრების დროს როგორი პოზიცია დაფიქსირდა მოსახლეობის მხრიდან?***

— მე ვიყავი დიოკნისის მეჩეთში. ეს არის ბორჯომის მიმართულებით, ხულოს აღმოსავლეთი ნაწილი. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ მეჩეთის წევრები ზუსტად იგივე პოზიციას აფიქსირებენ, რასაც მე — საქართველოში ნებისმიერი საკულტო ნაგებობა უნდა ააგონ ქართული სახელმწიფოს წევრებმა და არა უცხო სახელმწიფოებმა. თურქეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით რაიმე საკულტო ნაგებობის აშენება კატეგორიულად დაუშვებელია. ჩვენ ვითვალისწინებთ არა მარტო ქრისტიანი მოსახლეობის, არამედ მუსლიმანი მოსახლეობის აზრს. ამ შეხვედრების დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მეჩეთში შეკრებილი ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ მეჩეთის გადახურვა, მისი რესტავრირება, ახალი მეჩეთის მშენებლობა უნდა მოხდეს ქართული ფულით, საქართველოს მოქალაქეებისა და ქართველი მოქალაქეების მიერ. ეს არის ამ საქმისადმი ყველაზე წესიერი მიდგომა. ამას ეთანხმება ბიძინა ივანიშვილიც. ხელისუფლების მცდელობა, თურქეთის სახელმწიფოსთან ასეთი ხელშეკრულება დადოს, პრაქტიკულად, განწირულია მარცხისთვის — თურქეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით აჭარაში და მთლიანად საქართველოში, ვერსად ვერ აშენდება რაიმე საკულტო ტიპის ნაგებობა.

**ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ**



### გზავნილი რიჩარდ კაკაურიძეს

შენი წასვლიდან მონატრებითა და ტკივილით სავსე 40 დღე გავიდა, ყველაფერში გამორჩეულო, ჩვენო რიჩო. შენს სიკეთესა და კაცთმოყვარეობას გადაელახოს ყველა დაბრკოლება, საზვერეები, რათა შენს სულს დაემკვიდრებინოს ადგილი იმ ნათელ ქვეყანაში, სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

ძალიან გვენატრები.

*ოჯახი*

მეუღლე ალექსანდრა ჯოჯუა, შვილები როზმარი და ალმირა გვაზავები, შვილიშვილები გიგა გვაზავა, ირაკლი და ნათია კვარაცხელიები, შვილთაშვილები ლუკა და მუხრან გვაზავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი

### მუხრან ნიკოლოზის ძე გვაზავა

პანაშვიდი: 17, 18 ივნისს, 18 საათზე.
დაკრძალვა: 19 ივნისს.
მისამართი: კანდელაკის 8ბ, ბინა 36.

**ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჯბს უფჯლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
18 ივნისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფილმი **"ნაპირიდან ნაპირამდე"** 14.35, 06.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" 15.15 ჩვენი ფერმა. 17.00, 05.50 დოკ. ფილმი "დედები და შვილები ჰოლივუდში" 19.05 სერ. **"ჩემი მეგობარი"** 21.00 სერ. **"დეტექტივები"** 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 **ფეხბურთი**: ევრო-2012. (პირდ.) 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.20 საფარი 02.10 მხ. ფილმი **"ჩურჩული ღამით"** (18) 04.00 მხ. ფილმი **"ბოლო ცეკვა ჩემია"**

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფ. **"უცხო გული"** 10.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები". 11.00 მხ. ფილმი **"ელისაბედ სმარტის ამბავი"** 12.45 გააგრძელე საქართველოს ისტორია. 13.15 მხ. ფილმი **"მოულოდნელი სიყვარული"** 14.45, 17.45, 20.00, 23.00 ბრიფინგის დროით 16.40 დოკ. ფილმი 17.00 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 19.00, 21.00 თავისუფალი ტრიბუნა 22.00 დოკ. ფილმი "დიდი ხელოვნება" 22.35 **ფეხბურთი**: **ხორვატია – ესპანეთი**. (პირდაპ.) 01.45 მხ. ფ. **"მღელვარება"**ფ

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 10.05 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.50 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 15.40 ხანუმა 17.40 სერ. **"მეწამული ცა"** 18.40 სერ. **"შურისძიების სახელით"** 21.00 სერ. **"მემკვიდრეები"** 22.00 კონცერტი: "ვია 75" 00.20 რომ გადახვალ, გააჩერე 00.40 25-ე კადრი 01.10 მხ. ფილმი **"კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება"** 04.05 მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** 06.00 მუსიკა. 06.30 სერ. **"შურისძიების საფასური"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"დედის გული"** 11.00 სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. **"ტერეზა"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 19.50 სერ. **"ველური ყვავილი"** 22.00 ნიჭიერი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. **"ენი, სწვანე სახურავების მამულიდან"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი "ექსტრემალური ამბები" 17.10 სერ. **"ველური მთვარე"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"საიდუმლო აგენტების თავგადასავალი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. **"საგა"** 12.50, 19.35 სერ. **"მაფიოზა"** 13.50 1000 წვრილმანი 15.15 სერ. **"საიდუმლო აგენტების თავგადასავალი"** 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის წყვილები" 23.00 სახლი ბათუმში 23.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 ლექსით ქებათა ქება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"ცისფერი მთები"**. 13.40 კონცერტი. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.35 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". 16.00 გაცოცხლებული წარსული. 16.30 დოკ. ფ. "ველური ბნუება". 16.55 სპექტაკლი "ეს არ უნდა მომხდარიყო". 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი **"ვინ არის მეოთხე"**. 20.40 ძილი ნებისა 21.05 ფატრიარქის ქადაგება. 21.20 სალვთისმეტყველო საუბრებიყ 22.00 სიახლენი 23.15 დოკ. ფილმი "ახალმოწამე". 00.10, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

**ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ivnisi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6341
ევრო —2,0488
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5440
რუსული რუბლი — 0,0499

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

**ამინდის პროგნოზი 18 ივნისისთვის**






# 14 ივნისიდან!
## დიდი საზაფხულო აქცია
## ქართული მწერლობის საუნჯე
## „ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი

fornjgnjuyjpb !* ბღყბცბცსღბც
.ღტაფვ უფბსღფჯბცობყცს=

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — წარმატებული დღეა, საწადელს მიაღწევთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემას ადვილად გადაჭრით. **ტყუპები** — დაისვენეთ მყუდრო სიტუაციაში, არ გადაიღალოთ. **კირჩხიბი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ლომი** — ახლა კარგად ხართ, ახალი სამუშაოც მოგწონთ. **ქალწული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **სასწორი** — სახლში კარგი ამბებია, გახარებული ხართ. **ღრიანკალი** —თავს მიხედეთ, გადაღლილი ხართ. **მშვილდოსანი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თხის რქა** — ფული გაქვთ, ქველმოქმედება არ გაგიწყდებათ. **მერწყული** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს აგვარებთ. **თევზები** — ცხოვრება გეცვლებათ, ამისთვის მზად ხართ.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტ3 ღქტც=

## პროტესტს ქართველებიც შეუერთდნენ

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ცნობით, 2012 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის, თურქეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის ალი ნიჰატ იაზიჩის განცხადებამ აგვისტოში სტამბულში დაგეგმილ ოლიმპიადაზე შვიდი ქვეყნის – ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, აშშ, შვეიცარია, საქართველო, უკრაინა – ფედერაციის წარმომადგენელი მსაჯებისათვის უარის თქმის შესახებ, საჭადრაკო სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

პასუხად, ინგლისის ჭადრაკის ფედერაციამ საპროტესტო წერილით მიმართა ფიდეს ეთიკის კომისიას და საპრეზიდენტო საბჭოს, რათა დაჩქარებულ რეჟიმში განიხილოს საკითხი და მოსთხოვოს თურქეთის საჭადრაკო ფედერაციას ოლიმპიადაზე მსაჯების დანიშვნა მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე.

ვინაიდან, თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ალი ნიჰატ იაზიჩის მსგავსი ქმედებით ირღვევა ფიდეს წესდების 1.2 მუხლი: ფიდე დაკავებულია უშუალოდ საჭადრაკო მოღვაწეობით; ფიდე დემოკრატიული ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნებულია მისი წევრების თანასწორუფლებიანობის პრინციპზე; ფიდე არაკომერციული ორგანიზაციაა და მისთვის მიუღებელია დისკრიმინაცია ნაციონალური, პოლიტიკური, რასობრივი, სოციალური და რელიგიური ნიშნებით. საპროტესტო წერილს საჭადრაკო სამყაროს წამყვანი ექვსი ფედერაცია შეუერთდა: საფრანგეთი, გერმანია, აშშ, შვეიცარია, საქართველო და უკრაინა.

მ. ჭ.




## დავით დეფი ეროვნულ არქივთან ითანამშრომლებს

ეკა ირემაშვილი

მწერალი და პოეტი დავით დეფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობას იწყებს. ეროვნულ არქივში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ფონოსტუდია გაიხსნა, სადაც პროფესიონალურ დონეზე აუდიოჩანაწერების შექმნა გახდა შესაძლებელი.

ახალი პროექტის პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ ამ პროექტის ფარგლებში ეროვნული არქივის აუდიოსტუდიაში თანამედროვე მწერლები საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ და მათი ფონოჩანაწერები არქივში ათწლეულების წინათ შექმნილ ქართველი კლასიკოსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აუდიოჩანაწერებთან ერთად შეინახება.

– ფონოარქივის სიმდიდრეს წარმოადგენს აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძისა და სხვათა ფონოჩანაწერები, რომლებშიც ისინი საკუთარ ნაწარმოებებს კითხულობენ. ახალი პროექტის მიზანია, მომავალ თაობებს შემოუნახოს თანამედროვე ავტორების ჩანაწერები, რომლებიც წლებთან ერთად დიდ მნიშვნელობას შეიძენს, – განაცხადა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

პროექტის პირველი მონაწილეა მწერალი დავით დეფი, რომელიც თავის შემოქმედებას წაიკითხავს და ეროვნულ არქივში არსებული თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ფონოსტუდიის არქივში მომავალ თაობებს შემოუნახავს.



მწერალი და პოეტი დავით დეფი არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც საკმაოდ პოპულარულია. მასთან ინტერვიუ ნიუ იორკის უდიდესმა ლიტერატურულმა ვებჟურნალმა „უაილდ რივერ რევიუმ“ გამოაქვეყნა, ასევე მისი პოეზია და ვიდეო – ლექსი „21 რიტუალური კოცნა“ და „მთვარის მზერისას რომ გამახსენდა ზი რავენ“.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# 6 ივნისიდან

ეკზრფკეჰბ გჰჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 25-ე ტომი

# ნტნხტჰბ

3!)) ობუყიბ4 იტღბც
ბვ ფღფვბფყსფ ,ბჯუჰფაბტ,ბ7
ჰჯვტჯსფნ ღბღბ hღფჯბ ღფნჯღტც
ვცჯაჯბჯ გჯჯბნბhფიბ7
ვტნყბტჰტ,ფცფ ღფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტჰსფლ
* კფჰბ




## hჰჯცღჯჰღბ ფ

**თარაზულად:** 4. იაპონური ნაციონალური ჩასაცმელი; 5. ზოგი ტროპიკული ხის ძვირფასი მერქანი; 6. მტაცებელი ცხოველი; 7. სადასტაქრო ორპირიანი დანა; 8. რაიმე საგნის კონტური; 10. რთული სიტყვის წინსართი ნერვთან დაკავშირებული; 13. მაიმუნი; 15. ეთიოპიის იმპერატორების ტიტული; 16. სიმინდის ყვავილედი; 17. ინდოელი ქალის კაბა; 20. პატარა მონადირე ძაღლი; 21. რესტორანი გერმანიაში; 22. საღებავი ნივთიერება, რომელსაც მჟავა აწითლებს; 23. მგალობელი ფრინველი.

**შვეულად:** 1. მუქი ფერის ქსოვილი შავში გარდამავალი; 2. ფეთქებადი ნივთიერება; 3. ხელოვნებისა და მეცნიერების მდიდარი მფარველი; 4. ბზიკი; 5. ციმბირული ირემი; 9. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო; 11. უკუსვლა, დაქვეითება; 12. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 14. კინოგადაღებაში ოპერატორული ხერხი; 18. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 19. ... კონტნერი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

